# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **ნინო თაბაგარი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

**ნატო ოგანეზოვი** -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
**ეკატერინე მიქაუტაძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
**ანა ანუშიძე** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
**ზურაბ ურიადმყოფელი** - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
**სალომე არაბიძე** -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
**ხათუნა რუსიეშვილი** - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
**სოფიო ხვადაგიანი** -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
**ნინელი ცერცვაძე** -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
**ვლადიმერ უშიკიშვილი** -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
**ნათია კოხოძე** -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ: 218049092 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა |
| იურიდიული მისამართი | სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11 |
| ფაქტობრივი მისამართი | სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11 |
| საფოსტო ინდექსი | **1400** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | skra@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577325160 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის MES 7 23 0001097073 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 12-13 ოქტომბერი ; |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითისაფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტის სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N11 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურიზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტის სოფელი სკრა,22-ე ქუჩა N11 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურიზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტის სოფელი სკრა,22-ე ქუჩა N11 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის MES7 23 0001097073 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო კოლაში(ს/კ: (ს/კ:218049092).

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ:

ნინო თაბაგარი -(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)- თავმჯდომარე;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

წევრები: ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) ;ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ზურაბ ურიადმყოფელი( უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი ); სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); სოფიო ხვადაგიანი ( სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) ; ვლადიმერ უშიკიშვილი-(სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 12-13 ოქტომბერს ბრძანების შესაბამისად ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების, TEAMS პლატფორმის გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების დირექციასთან, პერსონალთან, მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა და მიმდინარე პროცესების შესაბამისობა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამისი საგნის მასწავლებლებს და მოიპოვეს მათთვის საჭირო ინფორმაცია,რაც მეორე სტანდარტის შესაბამისობას დაადგენდა. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო საჭირო დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა საჯარო სკოლის წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

**VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არაფორმალური განათლების გაძლიერებას , მშობელთა ჩართულობას და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას და მოტივაციის გაზრდას. სკოლაში შექმნილია სასკოლო კლუბები:-„მკითხველთა კლუბი“, „ეკო კლუბი“ ‘უცხო ენების მოყვარულთა კლუბი“,კლუბი- „სახელოვნებო წრე“, რომელიც განსაკუთრებული შემოქმედებითობით გამოირჩევა და მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიან ხალიჩებს.

სკოლის პარტნიორია ორგანიზაცია ,,ბილიკი“ და USAID. მათთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებული აქვთ აქტივობები, მათ შორის პროექტები:,,ქალთა უფლებები“, ვიზიტი პარლამენტში, ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“, სადაც შექმნეს ორიგინალური ხელნაკეთი წიგნი; სამოქალაო კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით , საზოგადოებრივი კათედრის ორგანიზებით ჩატარდა მედიაწიგნიერების კვირეული; მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კვირეული; აღინიშნა დედამიწის დღე, მოსწავლეებმა შექმნეს პოსტერები; ნიადაგის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებმა შექმნეს პოსტერები. განხორციელდა პროექტი პროექტი-,,ბულინგი-რეალური საფრთხე“ და სხვა.

ასევე, სკოლა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებით პოპულარულს ხდის მოსწავლეებში სასკოლო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებით. მაგალითად: მონაწილეობა მიიღეს ევროპის სპორტის კვირეულში ჩატარებული მარათონული გარბენი 2022-2023 ,სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარლებში შეჯიბრი გეზრბენში, გოგნათა და ვაჟთა კატეგორიაში, სადაც გოგონათა გუნდმა დაიკავა მე-2 ადგილი.

სკოლის საუკეთესო გამოცდილება იკვეთება კურსდამთავრებულების წარმატებებში. მაგალითად, 2023 წლის ეროვნულ გამოცდებზე სკოლის კურსამთავრებულმა მატემატიკის გამოცდაზე მიიღო უმაღლესი „51“ ქულა.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მშობელთა ჩართულობის გასაძლიერებლად განხორციელებული აქვთ საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვა ,, სააღდგომო თემატიკა“ და საახალწლო გამოფენა გაყიდვა, სადაც მშობლების მიერ შექმნილი პროდუქტის რეალიზებით მოსწავლეებმა დახმარება გაუწიეს მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახებს.

მშობელთა ინიციატივით და მოსწავლეთა წახალისების მიზნით სკოლაში მოეწყო „წუწაობის დღე,“ სადაც სკოლის ეზოში მშობლების მონაწილეობით განხორციელდა გასართობი ღონისძიება.

სკოლის ამჟამინდელი შენობა მდებარეობს სოფელ სკრის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც ეზო განაშენიანებულია სხვადასხვა ხეხილით. სკოლა გეგმავს დაამკვიდროს პროფესიული ორიენტაციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით ხეხილის დამყნობის, მოვლისა და შეწამვლის შესწავლის პრაქტიკა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის იმ პროფესიების გაცნობას და პრაქტიკაში გნხორციელებას, რასაც მებაღეობა-მეხილეობა ჰქვია. პარალელურად მოხდება ეზოს გამწვანებაც.

### ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| --- | --- |
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 300 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ............. |
| | | |
| | | |

**V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 1.2.1.4. | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | სკოლამ სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 წლის 15 ნოემბერი. |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | • სკოლამ შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 1 ოქტომბრამდე; (მეტწილი შესაბამისობა).<br><br>• სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 1 ივლისამდე (მეტწილი შესაბამისობა). |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| **ინდიკატორი 1.1.1.3.** | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; | სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არის ტექნიკური შეცდომა, რომელიც უნდა შესწორდეს. კერძოდ ( მუხლი 8, 1 პუნქტის ე და ვ ქვაპუნქტი), პედაგოგიურმა საბჭომ უნდა შეითანხმოს და სამეურვეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს სკოლის განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| **იდიკატორი 1.2.2.1.** | სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; | სკოლამ ორი იდენტური დოკუმენტიდან, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N 2-112 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის წესი," და სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 25 სექტემბრის N2-109 ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის„ შექმნას ერთი დოკუმენტი, სადაც გაწერს მონიტორინგის და შეფასების განმახორციელებელი პირები და სტრუქტურულ ერთეულები. |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N3.1.2.1.** | პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; | სკოლის დირექციამ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 785 საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N785 31.08.2007 წ) VI მუხლის I პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად. |
| **ინდიკატორი N3.1.2.2.** | სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; | საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სკოლამ პერსონალის თანმდებობრივ ინსტრუქციებში წინასწარ გაწეროს ადმინისტრაციული ერთეულის ან საშტატო განრიგით განსაზღვრული პირების ჩამნაცვლებელი კადრი, რათა სასწავლო პროცესი დაბრკოლების გარეშე განხორციელდეს. |
| **ინდიკატორი 3.5.1.3.** | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | სკოლამ გაითვალისწინოს რესურსოთახის პირველ სართულზე განთავსება. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| **ინდიკატორი N4.2.2.2.** | სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების | კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ აქტივობები, რაც უზრუნველყოფს |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; | შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას; |
| **ინდიკატორი N4.2.3.1** | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; | სკოლამ შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების ერთიანი დოკუმენტი კონკრეტულად გაწერილი პროცედურებითა და მექანიზმებით. |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი<br>(დაწყებითი საფეხური)** | *რჩევა* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N2.1.1.2** | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებულინკომპლექსური დავალებები შემუშავება . |
| **ინდიკატორი N2.2.2.1** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | სკოლას მიეცა რჩევა, დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში გაწეროს სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, შესაბამისი საკითხებითა და სამიზნე ცნების ქვეცნებებით( ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით) |
| **ინდიკატორი N2.2.2.1** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | სკოლას მიეცა რჩევა ტექნოლოგიების კურიკულუმებში ასახონ კონტექსტ-მაგალითები. |
| **ინდიკატორი N2.2.2.5** | სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი. |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N2.1.1.2** | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებულიკომპლექსური დავალებები შემუშავება . |
| **ინდიკატორი N2.2.2.1** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | სკოლას მიეცა რჩევა, საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში დააზუსტონ თემის შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით. |
| **ინდიკატორი N2.2.2.5** | სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი. |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N2.1.1.2** | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებულიკომპლექსური დავალებები შემუშავება . |
| **ინდიკატორი N2.1.2.1** | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | სკოლას მიეცა რჩევა, XII კლასის მათემატიკის კურიკულუმში გაწეროს კომპლექსური ტიპის დავალება. |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი N2.1.2.4** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | სკოლას მიეცა რჩევა, სპორტში შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ თემების მიხედვით. |
| **ინდიკატორი N2.2.2.1** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | სკოლას მიეცა რჩევა, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში დააზუსტონ თემის შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით. |
| **ინდიკატორი N2.2.2.5** | სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; | სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი. |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პირველადი ავტორიზაცია

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მითითებულ ხარვეზებზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრა შესასრულებელი სამუშაო ვადები, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლა განვითარებაზეა ორინტირებული.

სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც „არ შეესაბამება" (ინდიკატორი 1.2.1.4; ინდიკატორი 3.4.1.1,)

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- 1.2 კომპონენტის ინდიკატორი 1.2.1.4. შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, რადგან 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 წლის 15 ნოემბერი.
  ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის ზემოთაღნიშნული ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად პირველი სტანდარტის 1.2. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“;
- 3.4. კომპონენტის ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, მაგრამ სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შენობის მდგრადობის შესაბამისი დასკვნის უზრუნველსაყოფად და სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 1 ივლისამდე.
  სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 1 ოქტომბრამდე;
  ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის ზემოთაღნიშნული ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მესამე სტანდარტის 3.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“;

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია
### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარში იკვეთება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია ნაწილობრივ შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიმუშავა ახალი მისია, ხედვა, ღირებულებები.

სკოლის მისიაა ინკლუზიური გარემოს შექმნითა და ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოს მოსწავლის პოტენციალის გამოვლენა, პასუხისმგებლობის გააზრება, უწყვეტი განვითარება, რათა ჩამოყალიბდეს კანონმორჩილ და შემწყნარებელ მოქალაქედ საზოგადოების ყველა ჯგუფის მიმართ.

ხედვა: სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლემ შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გათვალისწინებით პასუხისმგებლობის გააზრება, გარემოზე ზრუნვა, კრიტიკული აზროვნება; მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ჩამოუყალიბდეს 21-ე საუკუნის მოქალაქისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რომელსაც დამოუკიდებლად გამოიყენებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

წარმოდგენილი მომავლის ხედვისა და მისიის განხორციელების მიზნით სკოლა იხელმძღვანელებს პრინციპებითა და მიდგომებით, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს გახდნენ მსოფლიოს ღირსეული მოქალაქეები. ესენია: პროფესიონალიზმი, სიახლეების მიმღებლობა, ღიაობა, სანდოობა, ტოლერანტობა, გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერა.

მისია და ხედვა სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეიქმნა SWOTანალიზის საფუძველზე, სადაც გამოიკვეთა სასკოლო თემის საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლის მისია

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

და ხედვა შეთანხმებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე( დასტურდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმი N3 (22.09. 2023 წ.) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის სხდომის ოქმით N4.
სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შესაბამისად ,

**1.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის სკოლის მისია და ხედვა ხელს უწყობს ინკლუზიური, სასკოლო საზოგადოებისთვის თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, კრიტიკულად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები წახალისებულია, დაცულია სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური და მორალური უსაფრთხოება. სკოლა ქმნის საჭირო პირობებს სასკოლო საზოგადოების მიერ შემოთავაზებული აქტივობების რეალიზებისათვის. ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებას, ამისათვის გეგმავს ისეთ ღონისძიებებს, რომელიც თითეული მოსწავლის შესაძლებლობაზეა მორგებული.

თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო ხელს უწყობს სწავლის სწავლას, მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი ადამიანების აღზრდას, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება.

სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს კლუბები. ვიზიტისას წარმომადგენლებთან გასაუბრებით სკოლის ვიზუალური დათვალიერებით, წარმოდგენილი სასკოლო თუ საკლასო აქტივობებით და ამსახველი მასალებით დასტურდება, რომ სკოლაში არაფორმალური განათლება არის გზა, რომლითაც ხდება პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის შექმნას. ეს კი თავისთავად იწვევს მშობელთა და გარესაზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**1.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 21 სექტემბრის ბრძანება N2-110 -ით სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშია სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი , მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენელი.
ასევე, 2023 წლის 21 სექტემბრის N2-109 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროცესში ჩართულ მხარეებს ( სამუშაო ჯგუფი, საკოლო საზოგადოება-დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, მოსწავლეები), საამუშაო ჯგუფის ფორმირებას და შემადგენლობას, ინფორმაციის სეგროვებასა და ანალიზს.
დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ SWOT ანალიზი განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომელთა შედეგების შეჯამებით ჯგუფს დავალებული ჰქონდა სკოლის ფილოსოფიის პროექტის მომზადება.
სკოლოს ფილოსოფია პროცედურულად სწორად იქნა განხილელი პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ( ოქმი N3 -22.09. 2023 წ) და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (25.09.2023წ. ოქმი N4). თუმცაღა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არის ტექნიკური შეცდომა, რომელიც უნდა შესწორდეს. კერძოდ ( მუხლი 8, 1 პუნქტის ე და ვ ქვეპუნქტი), პედაგოგიურმა საბჭომ უნდა შეითანხმოს და სამეურვეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს სკოლის განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**1.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არის ტექნიკური შეცდომა, რომელიც უნდა შესწორდეს. კერძოდ ( მუხლი 8, 1 პუნქტის ე და ვ ქვაპუნქტი), უნდა დაიწეროს- პედაგოგიურმა საბჭომ უნდა შეითანხმოს და სამეურვეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს სკოლის განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა.

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**
სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მეთოდოლოგია მოიცავს იფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სამუშაო ჯგუფის აქტიურ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. ჯგუფი ისმენს მათ შენიშვნებ და უზრუნველყოფს რეკომენდაციების საბოლოო შემუშავებულ დოკუმენტში ასახვას. კლასის დამრიგებლებმა სასწავლო წლის დასაწყისში გააცნეს საკოლო საზოგადოებას სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილია სკოლის ფილოსოფია, განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. აღნიშნულიდან გამომდინარე ,

**1.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

   საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის პირველი სართულის ფოიეში, მისიის, ხედვისა და ღირებულებები განთავსებულია ვებ.გვერდზედ https://skolebi.emis.ge/-ზე . იგეგმება სკოლის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნება. აღნიშნულიდან გამომდინარე ,

**1.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

   სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოგელ სკრის საჯარო სკოლისთვის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით განსაზღვრულია წარმოდგენილი სკოლის ტიპი და სახელი. შესაბამისად სკოლის სახელი სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა- სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. აღნიშნულიდან გამომდინარე ,

**1.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის  განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,
- პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმი N3 (22.09. 2023)
- სამეურვეო საბჭოს  სხდომის ოქმი N4 (25.09.2023)
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შესკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 21 სექტემბრის ბრძანება  N2-109 მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- მსრულებლის 2023 წლის 21 სექტემბრის ბრძანება N2-110 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- SWOT ანალიზის კითხვარები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის დამისამართება.
- ვებ.გვერდი
- ვიზუალური დათვალიერება

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა  :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;** (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-109 ბრძანებით)
   მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის ძირითად პრინციპებს. კერძოდ,
   - თანამონაწილეობას (სასკოლო საზიგადოების ჩართულობა, პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვა და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარება) ;
   - სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას ( სასკოლო საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინება, მათი ჩართულობა დაგეგმვის პროცესში და დოკუმენტი გაზიარება);
   - გამჭირვალობას ( შემუშავების პროცესში ინფორმაციის გაზიარება);

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- ანგარიშვალდებულებას (სკოლა იღებს ვალდებულებას ყოველ სამ წელიწადში და შვიდ წელიწადში ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენამდე მოახდინოს შესრულების ანგარიში და უზრუნველყოს მისი საჯაროობა);

ასევე , მეთოდოლოგია განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართებას, პროცესებში ჩართულ მხარეებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებას და შემადგენლობას, ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავების ეტაპებს, სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდებს და პროცედურებს, SWOTანალიზს, შესრულების მონიტორინგს, ინფორმაციის გაზიარებისა და გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. ინტერვიუირებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის SWOT ანალიზში ასევე თავს იყრის სასწავლო წლის მასწავლებელთა, დამრიგებელთა, კათედრების ხელმძღვანელთა, დირექტორის მოადგილის წლიური ანგარიშები, ასევე დირექტორის ანგარიშის მიგნებები.

სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და უკუკავშირის გათვალისწინება, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით პრიორიტეტების იდენტიფიცირება და შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფორმირება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**1.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარებისა დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების ციკლურობას .მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და შესრულების ვადებს.

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მ.შ- ს 21.09.23 წლის N 2-110 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან ( 22.09.2023 წლის ოქმი N 3) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ ( 25. 09. 2023 წლის ოქმი N 4) . გეგმა არის ციკლური, მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. დოკუმენტიდან იკითხება, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შედგენისას გათვალისწინებული იქნა როგორც წინარე გამოცდილება, ასევე ახალი გამოწვევები, გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) დეტალური ანალიზი. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ძირითად ამოცანად სკოლა ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, XXI საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა მოიცავს 5 ძირითად მიზანს:

1. უსაფრთხო ფიზიკური და პოზიტიური სასწავლო გარემო
2. მმართველობითი პროცესები და ორგანიზაციული განვითარება
3. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიული გეგმის ამოცანები შესაბამისობაშია მიზნებთან და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. შესაბამისად,

**1.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის ერთწლიანის სამოქმედო გეგმა , რომელიც ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმის ხუთ მიზანს. წლიურ სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის განვითარებისთვის აუცილებელ ეტაპებს:

- სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;
- სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება;

სკოლაში ვიზიტისას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სკოლის საჭიროებაზე მორგებით და წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლების, კათედრებისა და მოადგილის წლიურ ანგარიშს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ( ბრძანება N 2-88 -20.09.2023წ) ითვალისწინებს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შიდა( თვითშეფასების) და ასევე გარე შეფასების გამოყენებას საკანონმდებლო დონეზე (ავტორიზაცია), რათა შეაფასოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, ასევე, დასახოს ახალი პერსპექტივები და უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი.

შესაბამისად,

**1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

   სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარებისა დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის ფორმირებას.

   მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს, შესრულების იდიკატორებსა და რესურსებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, მიზნებს, დროში გაწერილ ამოცანებს და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები არ ჩანს. აღნიშნულის გათვალისწინებით ,

**1.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარებისა დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ( 2023-2030)
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024)
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სკოლის დირექტორის მ/შ- ს 21.09.23 წლის N 2-110 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სკოლის დირექტორის მ/შ-ს 21.09.23 წლის N2-109 ბრძანება მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- SWOT ანალიზის კითხვარები
- კათედრის, კლასის დამრიგებლის ანგარიშები,
- სკოლის დირექტორის მოადგილის ანგარიში
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ( ბრძანება N 2-88 -20.09.2023წ)

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარებისა დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმს. კერძოდ, მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურია მიზნის მიღწევის დასახული გზები.

მეთოდებად გამოიყენება წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები, შესავსები ცხრილის ფორმა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები, რომლის საფუძველზე შესაბამის ფორმაში თითოეული სტრატეგიული მიმართულება ფასდება სტატუსით: „ შესრულდა“ „ნაწილორივ“ და „არ შესრულდა“ . დოკუმენტის საჯაროობის მიზნით, შედეგები განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N 2-112 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის წესი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიდგომებს, მოთხოვნებსა და სამუშაო პროცესებს.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურას, სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას, სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფას, სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირების ფაზას,სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადებისა და განხილვის ფაზას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ფორმებს, პერიოდულობასა და შეფასებას. აღნიშნულ დოკუმენტში სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

ორივე დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული /სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, თუმცა პირველი დოკუმენტისაგან განსხვავებით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ ჩანს სამეურვეო საბჭოს ფუნქცია აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, პირველ დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.

სკოლა გამოთქვამს მზაობას იხელმძღვანელოს აღნიშნული მეთოდოლოგიებით , შესაბამისად,

1.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

**რჩევა:** სკოლამ გაითვალისწინოს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N 2-112 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის წესი,“ და სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 25 სექტემბრის N2-109 ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის„ იდენტურობა და შექმნას ერთი დოკუმენტი, სადაც გაიწერება მონიტორინგის და შეფასების განმახორციელებელი პირები და სტრუქტურულ ერთეულები.

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის წესი განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.
სკოლა გამოთქვამს მზაობას არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომავალში განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.

**1.2.2.2. ინდიკატორი არ ფასდება**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სამეურვეო საბჭო ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორისგან იბარებს სასწავლო პროცესის შესახებ და ფინანსურ ანგარიშს, ხოლო პედსაბჭოზე ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშის მიწოდება, რაც სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის განხორციელების და შესრულების დადასტურებაა. აღნიშნული დსტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით და ვიზიტის დროს გასაუბრებით. პედსაბჭოს ოქმი N7 (16.06.23წ). აღნიშნულიდან გამომდინარე,

**1.2.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**
რადგანაც სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

**1.2.2.4. ინდიკატორი არ ფასდება**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარებისა დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N 2-112 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის წესი,
- პედსაბჭოს ოქმი N7 (16.06.23წ)
- ანგარიშები
- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლას გრაფიკული გამოსახულებით წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდა, რომელიც მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინარულ კომიტეტს. სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა.
სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი (სკოლის დირექტორის მ/შ-ს 2023წლის 13 მარტის ბრძანება N2-14), რომელიც არ ფუნქციონირებს და სწავლა სწავლების პროცესის მართვას ახორციელებს სკოლის დირექცია. ხარისხის განვითარების ფუნქციებს ახორციელებს საგნობრივი კათედრები. სკოლის დირექცია სამომავლოდ აპირებს ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთანხმებულია საშტატო ნუსხა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ესქულის მონაცემების მიხედვით საშტატო განრიგი მოიცავს შემდეგ თანამდებობრივ ერთეულებს: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფი კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, სამი დამლაგებელი, ორი დარაჯი და ერთ ცეცხლფარეში.
სკოლას ჰყავს 23 მასწავლებელი მათ შორის 2 მენტორი.
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 სექტემბრის N2-115 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სკრის თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ასევე 20.09.23 წლის N2-107 ბრანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და პროცედურების დოკუმენტში" და სკოლასა და პერსონალს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სტატუსების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებული საქმიანობა ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას, რაც პირდაპირ კავშირშია სკოლის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს, კათედრების სხდომის ოქმები, სკოლის საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისათვის შექმნილი დოკუმენტები, რომელიც არეგულირებს სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულ პირთა საქმიანობის განხორციელებას) ადასტურებს, რომ სკოლას აქვს ორგანიზაციული კულტურა. ვიზიტის დროს დადასტურდა რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი და საქმიანი გარემო. ყველა სტრუქტურა პასუხისმგებლობით ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

   სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 27.09.2023 წლის N2-115 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გორი მუნიციპალიტეტის სკრის თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებს. ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების" შესაბამისად. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს უწყობს აგრეთვე, კათედრების მჭიდრო თანამშრომლობა, ერთად დაგეგმილი ინტეგრირებული აქტივობები, ისგ ჯგუფების სამუშაო აქტივობები და შიდა მონიტორინგის პროცესები. შესაბამისად,

**3.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:** 

- სკოლის სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება
- საშტატო ნუსხა ( ჩამოტვირთული ემისის ბაზიდან)
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სკრის თანამდებობრივ ინსტრუქცია -ბრძანება N 2-112 (27.09.2023წ)
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და პროცედურების დოკუმენტში“ -ბრძანება N2-107 (20.09.2023წ)
- პედსაბჭოს ოქმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- კატედრის ოქმები
- კატედრის პორტფოლიო
- ემისის /ESCHOOL-ის ბაზა
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსტან შეთანხმებული საშტატო ნუსხა
- სკოლის დირექტორის მ/შ-ს 2023წლის 13 მარტის ხარისხის მართვის ჯგუფი ბრძანება N2-14
- სკოლაში დასაქმებულ პირთა ხელშეკრულებები

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

   პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლაში არსებული დოკუმენტაციის შესაბამისად. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესის, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (2023 წლის 20 სექტემბრის N2-101 ბრძანება), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტით(2023 წლის 20 სექტემბრის N2-107 ბრძანება), პერსონალის ადაპტაციის წესით (სკოლის დირექტორის ბრძანება N2- 97-20.09.23 წ) სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

   სკოლა თანამშრომელთა მოზიდვას ინტეგრაციას და საქმიანობის შეფასების პროცედურას განსაზღვრავს პერსონალის ადაპტაციის წესით (სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-97- 20.09.23 წ) ასევე, 2023 წლის 12 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2- 149 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც მოიცავს სკოლის მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე სისტემის შემუშავებას და დანერგვას, შეფასების შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის, მხარდაჭერის სერვისებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულისათვის ის სავალდებულო პირობები, რომელსაც განსაზღვრავს შრომის კოდექსი. კერძოდ,

   - სამუშაო დრო, (სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტობინების წესი)
   - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა (წინა სახელშეკრულებო ურთიერთობა, სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურეობრივი შეთავსება, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და გასვლის წესი, შრომის პირობების დაცვის წესი, დისკრიმინაციის აკრძალვა და კონფიდენციალურობა )
   - წახალისებისა და პასუხისმგებლობის წესი.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა ვალდებულებების შესაძლო დაზუსტებას მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით ან შეთანხმებით. ასევე, დირექტორის უფლებამოსილებას, საჭიროებისამებრ მოითხოვოს დასაქმებულისგან ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ, როგორც ზეპირად ისე წერილობით. ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. სასურველია, დორექტორის არჩევის შემდგომ სკოლამ გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 785 საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N785 31.08.2007 წ) VI მუხლის I პუნქტის ა ქვეპუნქტი და აღნიშნული დოკუმენტაციის დამტკიცება მოახდინოს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. შესაბამისად,

**3.1.2.1. ინდიკატორის მოთხეოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა:** სკოლის დირექციამ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 785 საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N785 31.08.2007 წ) VI მუხლის I პუნქტის “ ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტით (სკოლის დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 20 სექტემბრის N2-107 ბრძანება) დეკლარირებულია პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურები და წესები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მოთხოვნები ვრცელდება სკოლის მთელს პერსონალზე თანასწორობის პრინციპების დაცვით, მათი კომპეტენციის სპეციფიკის გათვალისწინებით. პოლიტიკის მიზანს ასევე წარმოადგენს შექმნას გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრას და ანალიზს და ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ა) ორგანიზება/დაგეგმვა საკადრო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომელთათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობის შემუშავება/განახლების პროცესებს.

ბ) ორგანიზაციაში შემოსვლა -ორგანიზაციაში შემოსვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს.

გ) სამუშაოს მართვა - ორგანიზაციაში სამუშაოს მართვა თავის თავში აერთიანებს შეფასების, დისციპლინარული სასჯელისა და წახალისების პროცესებს.

დ) ორგანიზაციიდან გასვლა - ორგანიზაციაში გასვლის მიმართულება თავის თავში აერთიანებს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესებს.

სკოლას აქვს შექმნილი შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის მ/შ 12.10.2023 წლის N2-149 ბრძანება) , რომელიც მოიცავს პერსონალის შერჩევის ვალიდურ და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავების და დანერგვის მექანიზმებს.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება და უკუკავშირის მიცემა ხდება სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების ჩართულობით, რომლის შედეგად ხდება საჭიროებების გამოვლენა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, უკუკავშირი. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფორმა, რომელსაც მასწავლებელი ავსებს სასწავლო წლის დასაწყისში.

სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხის მართვას კოორდინირებას უწევს სკოლის დირექცია და საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები.

სკოლაში დირექტორის მ/შ-ს N-115 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილ დოკუმენტის ფუნქცია მოვალეობებში  არ ჩანს თანამშრომლის/მასწავლებლის სამსახურში არ ყოფნის შემთხვევაში ჩასანაცვლებელი პირის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით კონკრეტული კადრებით ჩანაცვლება რეგულირდება სკოლის დირექტორის მ/შ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**რჩევა:** საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძებების უზრუნველსაყოფად უმჯობესია სკოლამ პერსონალის თანმდებობრივ ინსტრუქციებში წინასწარ გაწეროს ადმინისტრაციული ერთეულის ან საშტატო განრიგით განსაზღვრული პირების ჩამნაცვლებელი კადრი, რათა სასწავლო პროცესი დაბრკოლების გარეშე განხორციელდეს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

პერსონალის შერჩევა სკოლაში ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, teachersjobs.ge-ზე კონკურსის განაცხადის შევსებით, რომელიც მოიცავს კონკურსის ეტაპებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ვადებს. საკონკურსო კომისია შექმნილია კანონის მოთხოვნების შესაბამისად დირექტორის ბრძანებით. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ვებ გვერდზე გამოცხადებული სპორტის და მუსიკის მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია. სკოლა უზრუნველყოფს ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას. სკოლაში პერსონალის მოზიდვის პირობებია შიდა და გარე კონკურსის გამოცხადება.

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტით (სკოლის დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 20 სექტემბრის N2-107 ბრძანება) განსაზღვრულია სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვის, შერჩევისა და შენარჩუნების მექანიზმები, ასევე ახალი საშტატო ერთეულების განსაზღვრის პირობები, პერსონალის/მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი და პროცედურები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, ხელშეკრულების გაფორმების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტაციის აუცილებელი ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.1.2.3. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლას ჰყავს 23 მასწავლებელი მათგან 10 უფროსი, 10 წამყვანი 2 მენტორი და 1 მოწვეული მასწავლებელი. სკოლის პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულეები მოქმედი კანონმდებლობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას ჰყავს საშტატო ნუსხით განსაზღვრული კადრი: დირექტორი 1,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დირექტორის მოადგილე 1, ბუღალტერი 1, საქმის მწარმოებელი 1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი 1, ბიბლიოთეკარი 1, ექთანი 1, დამლაგებელი 2, დარაჯი 2, ცეცხლფარეში 1. სპეციალური მასწავლებელი 2.

სკოლაში ვიზიტისას პერსონალის პირადი საქმეებისა და ესქულის ბაზის მონაცემების შესწავლით დადგინდა დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა. პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილია, ექთნის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია.

მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისია და გათვალისწინებულია უფროსი, წამყვანი, მენტორი, მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლისთვის განსაზღვრული ფუნქციები. ყველა დასაქმებულ პერსონალთან ასევე გათვალისწინებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები. შესაბამისად,

**3.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლაში ვიზიტისას პერსონალთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის შიდა ორგანიზაციული კულტურა მთლიანად ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი და თანამშრომლობითი გარემო რასაც ადასტურებს საგნობრივ კათედრებთან გასაუბრება და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები, სასკოლო ღონისძიებები. მაგალითად, ხელოვნების ინტეგრირებული პროექტი რუსულ ლიტერატურასთან, ხელოვნების ინტეგრაცია ქართულ ლიტერატურასთან. უცხოენების კათედრის მიერ ორგანიზებული პროექტები: კონფერენცია „იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ (X _XI კლ) პროექტი „ციფრული სკოლა საქართველო“ (საბაზო-საშუალო საფეხური), პროექტი „მოხალისე“ (VIII კლ), IX საუნივერსიტეტო კონფერენცია „უნივერსიტეტი სკოლას – სკოლა უნივერსიტეტს“; სკოლის ბაზაზე არსებული ეკოკლუბის ინიციატივით შეგროვდა მაკულატურა და ჩაიბარა ,,Pulp” კულტურამ, მიღებული ფულადი სარგებლით სკოლამ შეიძინა მარადმწვანე ნერგი და დაირგო სკოლის ეზოში, სადაც ჩართული იყო სკოლის პერსონალი და სასკოლო საზოგადოება. ბიოლოგიის პედაგოგმა ფიზიკური აღზრდის პედაგოგთან ერთად და სკოლის ექთანთან ერთად გაწერა და განახორციელა პროექტი X კლასში ,,კანსაღი ცხოვრების წესი და სპორტი“;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები დაკომპლექტებულია კანონის შესაბამისად და აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

პერსონალის მონაწილეობითი მუშაობის პრინციპები იკვეთება სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 ოქტომბრის N2-134 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, სადაც განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები. კერძოდ, მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რათა მოხდეს

სასკოლო კურიკულუმის განვითარება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ინფორმირებისა და კონსულტირების, ინტენსიური თანამშრომლობისა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულობის სისტემის დანერგვას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას, რომლის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ფუნქციების გადანაწილება გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიისა და პროცედურების დოკუმენტის მუხლი 14. ( შიდა კომუნიკაცია) და მუხლი 15. (პროფესიული ეთიკა) მოითხოვს სკოლის პერსონალისგან საკუთარი უფლებამოსილებისა და კომპეტენციების ფარგლებში ერთმანეთთან ითანამშრომლოს გამჭირვალობის, ღიაობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპით, სკოლის შინაგანაწესის, პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. წარმართოს სკოლის საქმიანობა პატივსცემით, გამოირჩეოდნენ კოლეგიალურობით და დაიცვან სამსახურეობრივი სუბორდინაციის პრინციპი. შესაბამისად,

**3.1.2.5. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

   სკოლაში დამკვიდრებულია მასწავლებლის გამოცდილების გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, ტუტორი და მენტორი მასწავლებლის დახმარებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ზრდა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა,
   ინტერვიუს დროს დადგინდა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, დამკვიდრებულია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მასწავლებლების საჭიროების დასადგენად გეგმავენ ინტერვენციებს. წარმატებულ გამოცდილებას სკოლა აზიარებს სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე.

სკოლის შინაგანწესში გათვალისწინებულია წახალისების მექანიზმები (თავი 4, მუხლი 16) კერძოდ, მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩქრით დაჯილდოება, ერთჯერადი პრემიის გაცემა, პერსონალის ექსკურსიის ორგანიზება/დაფინანსება და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა.

**3.1.2.6. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (2023 წლის 20 სექტემბრის N2-101 ბრძანება),
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტით(2023 წლის 20 სექტემბრის N2-107 ბრძანება);
- პერსონალის ადაპტაციის წესით (სკოლის დირექტორის ბრძანება N2- 97-20.09.23 წ) სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის სკოლის დირექტორის მ/შ-ს 2023წლის 13 მარტის ბრძანება N2-14;
- პერსონალის ადაპტაციის წესით (სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-97- 20.09.23 წ) ;
- 2023 წლის 12 ოქტომბრის სკოლის დირექტორის N2- 149 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პერსონალის პირადი საქმეები
- საკონკურსო ოქმები;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება
- პერსონალის დანიშვნის ბრძანებები;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნები;
- teachersjobs.ge;
- ESCHOOL-ის ელექტრონული სისტემა;
- საშტატო ნუსხა;
- პერსონალისა და მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები;
- კათედრის პორტფოლიო
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- წარმოდგენილი ღონისძიებების დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის მ/შ 12.10.2023 წლის N2-149 ბრძანება) , რომელიც მოიცავს პერსონალის შერჩევის და შეფასების სამართლიანი, ვალიდული და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას და დანერგვას, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის. ასევე, ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებლის შეფასებისან და საჭიროებების დადგენის მექანიზმებს. სკოლის დირექტორის მ/შ-ს მიერ დამტკიცებული 2023 წლის 20 სექტემბრის N2-88 ბრძანება, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრასვს სკოლაში სწავლა-სწავლებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორებს .

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა და მათ საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე. ადმინისტრაციის ინფორმაციით, სკოლის დირექცია და კათედრები ახორცილებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება ურთიერთადსწრების შედეგების განხილვა და ანალიზი, უკუკავშირის მიცემა, აქტიურად ხორციელდება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე კათედრათაშორის თანამშრომლობის ფარგლებში ცორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები და სხვადასხვა პროექტები.
სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასების არსებობა მუდმივად უბიძგებს თანამშრომლებს საკუთარი სამუშაოს ანალიზისკენ, დასახული მიზნების მიღწევის გზაზე პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისაკენ. ეხმარება მათ საკუთარი სისუსტეების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) აღმოჩენასა და გამოსწორებაში.
სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლას ბრძანებით (23.03.2023.წლის ცვლილების ბრძანება N2-14) განსაზღვრული ჰყავს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც უფუნქციოა და ბრძანების ძალადაკარგულად გამოხცადებას აპირებს. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნა და მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის ვალდებულება გადატანილისა საგნობრივ კათედრებზე. თუმცა, სამართლებრივად, ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციები მშნიშვნელოვნად იკვეთება სკოლაში არსებული დოკუმენტაციაში. სკოლის ადმინისტრაცია და კათედრები ახორციელებენ პერსონალის შეფასებასა და ადგენენ

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებს. სკოლა თანამშრომლობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებლები ესწრებიან ტრენინენგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა:** სკოლამ განახორციელოს შიდა პოლიტიკის დოკუმენტების თანხვედრა სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ან განახორციელოს ცვლილება სსიპ ხარისხის მართვის ჯგუფის შემადგენლობაში და გახადოს ქმედითუნარიანი, გამიჯნოს კათედრებისა და ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციები. ასევე, სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის ორი ბრძანება (დირექტორის მ/შ 12.10.2023 წლის N2-149 ბრძანება და 2023 წლის 20 სექტემბრის N2-88 ბრძანება, ) , რომელიც თითქმის ერთმანეთის იდენტური, სკოლის მმართველობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია გაერთიანდეს და შეიკმნას ერთიანი, კონსოლიდირებული ვერსია.

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

**3.2.1.2. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 20 სექტემბრის N2-101) დამტკიცებულია „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა". პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე განიხილება პერსონალის მართვის მეთოდების ეფექტიანობა, სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, და ადგენს რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს, რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე. ხორციელდება სხვადასხვა სახის კონფერენციები, მუშავდება პროექტები, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის თანამშრომლები. პროექტების შემუშავება და კონფერენციებში მონაწილეობა ეხმარება მათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში. სკოლის ადმინისტრაცია და საგნობრივი კათედრები ეხმარებიან მასწავლებლებს პროფესიულ წინსვლასა და კარიერულ ზრდაში. მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად, ადგენენ მასწავლებლის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, იყენებენ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რეკომენდაციებს. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარების კითხვარის ფორმა.
წლის დასაწყისში პერსონალის საჭიროებების დადგენა ხდება თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით, კათედრის შეხვედრებზე;
სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ სკოლას ჰყავს ტუტორი მასწავლებლები, რომელთა მუშაობის შედეგად მაძიებლობის სტატუსის მქონე ორ მასწავლებელს მიენიჭა სტატუსი. 2023 წელს სტატუსი აიმაღლა სამმა მასწავლებელმა. სკოლის მენტორი მასწავლებლები ხელს უწყობენ თავის კოლეგებს წინსვლაში. უზიარებენ მათ გამოცდილებას . შესაბამისად,

**3.2.1.3. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა** : სკოლამ დააკორექტიროს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სამართლებრივი საფუძვლები და იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 „ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით.

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლას შექმნილი აქვს დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 20 სექტემბრის N2-97 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალის ადაპტაციის წესი“, რომელიც ხელს უშეუწყობს პერსონალს სკოლაში ადაპტაციას და აადვილებს სასკოლო გარემოში ჩართულობას. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, პერსონალის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. მისი მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე. ინტერვიუდან ირკვევა, რომ გარემოსთან ინტეგრაციას ძირითადად უზრუნველყოფს სკოლის დირექცია და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესს, სამუშაო წესებს, პროცედურებსა და ანგარიშვალდებულების სისტემას, სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა ხდება პედსაბჭოზე/შეხვედრაზე და სამუშაოს დაწყებისთანავე ხდება მოსწავლეებისთვის წარდგენა.

პერსონალის ადაფტაციის დოკუმენტში გაწერილია კონკრეტული ნაბიჯები და სამუშაო წესები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლის კომუნიკაციას და სასკოლო გარემოს შეგუებას. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება. აღნისნულიდან გამომდინარე,

**3.2.1.4. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლაში მოქმედი ჩარჩო დოკუმენტით, კერძოდ სკოლის შინაგანაწესით, გათვალისწინებულია წახალისების მექანიზმები (თავი 4, მუხლი 16) : მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი პრემიის გაცემა, პერსონალის ექსკურსიის ორგანიზება/დაფინანსება და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომაზე ადრე მოხსნა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე- 9 მუხლით გათვალისწინებულია პერსონალის მოტივირება და წახალისება, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ, შრომის შედეგებში დასაქმებულების დაინტერესებულობის ამაღლებისაკენ. სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს მოტივაციის გაზრდის მიზნით წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) პერსონალის ექსკურსიის ორგანიზება/დაფინანსება. ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. პერსონალის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა მცირებიუჯეტიანია, წახალისების ფორმა მხოლოდ მადლობის გამოცხადებით სიმბოლური მატერიალური საჩუქრიებით შემოიფარგლება. თუმცა იშვიატად, მაგრამ მაინც სკოლა ახერხებს მასწავლებლის მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენოს ერთჯერადი პრემიის გაცემის მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3.2.1.5. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის მ/შ 12.10.2023 წლის N2-149 ბრძანება);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2023 წლის 20 სექტემბრის N2-88 ბრძანება,);
- კათედრის ელ. პორტფოლიო;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის 23.03.2023.წლის ცვლილების ბრძანება N2-14;
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალის ადაპტაციის წესი“2023 წლის 20 სექტემბრის N2-97 ბრძანება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში
- მასწავლებლების შევსებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების კითხვარის ნიმუში;
- მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა.
- ტუტორის ანგარიში;
- ადგილზე ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სსიპ შორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვიტაც სკოლა უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას პროცესების საჯაროობას ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას. ადამიანური საინფორმაციო და მატერიალური რესურსების შიდა სტანდარტების შემუშავებას დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას: საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების ინფორმაციულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს. ხარისხის მართვა არის სკოლის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

სკოლის სტრუქტურა უზრუნვლყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიმართულებების შესრულებას. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში იქმნება ხარისხის პოლიტიკა, ხარისხის მექანიზმები, პროცედურები და რეგულაციები, შეფასების ფორმები, პროცედურების დოკუმენტური დადასტურება ანგარიშები.

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, ციკლის პრინციპით.)

**3.3.1.1. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

   მმართველობითი პროცესები იდენტიფიცირებულია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურუკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია, სასკოლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. სასკოლო სასწავლო გეგმა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, თანამდებობრივი ინსტრუქციები, პერსონალის ადაპტაციის წესი. პერსონალის მართვის პოლიტიკა.

   დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, კომპიუტერული ტექნოლოგიების სარგებლობის ინდივიდუალური გეგმა, მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი, სსიპ საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, ასევე საქმის წარმოების წესი და სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, მისი დანერგვა მონიტორინგის შეფასება და რევიზია მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე მმართველობით პროცესებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე

**3.3.1.2. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტმბრის N2-104 ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრებისა და საჩივრის განხილის წესი, რათა დეტალურად მოხდეს პროცესის თანმიმდევრობის გაწერა. აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე ვინც სკოლას განცხადებით/საჩივრით მიმართავს. განცხადების/საჩივრის ფორმა უნდა იქნას წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განხილული ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით დადგენილ ვადებში.

დოკუმენტი მოიცავს განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს, ვადებს, საჩივრის განხილვის წესსა და დისციპლინარულ წარმოებას, დისციპლინარული სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადას და განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებს. ასევე, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული შედეგების გასაჩივრების წესს, თანამშრომელთა/მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს. წესში კონკრეტდება შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების ვადები, ფორმა. სკოლა უზრუნველყოფს წესის გაცნობას სასკოლო საზოგადოებისათვის და საჭიროების შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს საჭიროების შემთხვევაში წესში აღწერილ პროცედურებს.

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში არ დაფიქსირებულა სკოლაში საჩივრის შეტანის ფაქტი, არ აქვს საჩივრის მიღებიასა და რეაგირების პრაქტიკა. შესაბამისად არ მოიძებნება ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა. უახლოეს პერიოდში არ დაფიქსირებულა დისციპლინარულ კომიტეტში მიმართვა დისციპლინარული დარღვევის შესახებ.

სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრის ფორმა . აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.3.1.3. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 28.09.23 წ N2-129 ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პიროვნების გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, აკადემიური თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, პირადი საიდუმლოება, სამართლიანი მოპყრობის უფლების, საჯარო ინფორმაციის გაცემის, სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

სკოლის ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი შინაგანაწესი, ასევე უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება . პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელისმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობა. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული და მშობლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი მოსწავლის პირადი ინფორაციის გამოყენების შესახებ. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებელთა ვალდებულება ყოველ ხუთშაბათს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობელს/კანონიერ წარმოომადგენელს მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 27.09.2023 წლის N116 ბრძანებით დამტკიცებულია „ მშობელთან ურთიერთობის დებულება“, რომელიც არეგულირებს სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილ თანამშრომლობას, მასწავლებლისა და დამრიგებლის როლს ამ ურთიერთობაში. დოკუმენტით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.3.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმები,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- შინაგანაწესი
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,
- კურუკულუმის დანერგვის მეთოდოლოგია,
- სასკოლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტი,
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,
- თანამდებობრივი ინსტრუქციები,
- პერსონალის ადაპტაციის წესი.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება,
- კომპიუტერული ტექნოლოგიების სარგებლობის ინდივიდუალური გეგმა,
- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი,
- სსიპ საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი,
- მშობელთან ურთიერთობის დებულება", (სკოლის დირექტორის მ/შ 27.09.2023 წლის N116 ბრძანება)
- „საჯარო სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი". (28.09.23 წ N2-129 ბრძანება)
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობლის თანხმობის ფორმა ინფორმაციის გასაჯაროებაზე
- საჩივრის ფორმა
- ანგარიშები
- პერსონალის ხელშკრულება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და სოციალური ქსელი რომელზეც თავსდება სკოლისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია. ასევე სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლაში ყველა სართულზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა სადაც ხდება ინფორმაციის გასაჯაროვება. სკოლასთან კომუნიკაციის ძირითადი ფორმაა მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები და სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში ჩართულობა. უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს სოციალური ქსელისა და თიმსის პლატფორმებს, პირისპირ შეხვედრებს, კრებებს. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარების ფორმა მშობლებისა და მოსწავლეთათვის რის შევსების შემდგომაც ახორციელებს რეაგირებას. სკოლის მშობლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან. " მშობელთან ურთიერთობის დებულება" არეგულირებს სკოლის ვალდებულებას მიაწოდოს მშობელს სიახლის შესახებ ყველა ინფორმაცია.

სკოლის შინაგანაწესის მე-40-ე მუხლი ეხება სკოლის ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკას, რომლის გათავისება უნდა მოხდეს თითოეული თანამშრომლისა და მშობლის მიერ. აღნიშნული დოკუმენტით, თითოეული თანამშრომლისა და მშობლის მიერ დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, ციფრული სანდოობა და ა.შ. სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N 2-91 დამტკიცებული საჯარო სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის" შესაბამისად. წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს ასევე, ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ,

**3.3.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად სკოლაში არჩეულია სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანია დემოკრატიული გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სამეურვეო საბჭო სკოლის პედაგოგიური საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქტიურად იღებს მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში.
სკოლაში ფუნქციონირებს ასევე დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, საგნობრივი კათედრები, რომლებიც დაკომპლექტებულები არიან მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების წარმომადგენლებით. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება გულისხმობს ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებით, ინიციატივების გამოვლენით, ამის ერთ-ერთი მაგალითია მშობლეთა ჩართულობით საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვის მოწყობა, მოსწავლეთა ინიციატივით, მხიარული სტარტების ჩატარება, მეორე უცხო ენის არჩევა მეხუთე კლასში და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.3.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის (2023 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N 2-91)
- შინაგანაწესი
- მშობელთან ურთიერთობის დებულება(27.09.2023 წლის N116 ბრძანება)
- მშობელთა კრებების ოქმები
- პროექტების ჩამონათვალი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- ვიზუალური დათვალიერება
- საინფორმაციო დაფები
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
- ვებ.გვერდი
- კლასის დამრიგებლის პორტფოლიო
- კითხვარების ფორმა
- სამერვეო საბჭოს ოქმი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- კათედრის ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მშობელთა ჩართულობის დამადასტურებელი ღონისძიებების ჩამონათვალი
- ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას არეგულირებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 20 სექტემბრის N2-89 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“

აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პრევენციული და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ძალადობის რისკების შეფასება, საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები მკაფიოდაა განზასღვრული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-ს დოკუმენტით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 ივლისის N2-54 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სახნძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლი პირი.

სკოლას ჰყავს ორი მანდატური. სკოლის შემოსასვლელ აკონტროლებს დარაჯი. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლაში გაწერილია მასწავლებელთა მორიგეობა ყველა სართულზე. ასევე, ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას აქვს 8 ცეცხლმაქრი: 6 განაწილებულია სართულებზე, 1 ლაბორატორიაში და 1 საქვებე შენობაში, რომელიც განთავსებულია სკოლის ძირითადი კორპუსის მოშორებით. სართულებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც საჭიროებს განახლებას. სართულებზე ფიქსირდება საევაკუაციო გასაგვლელის ნიშნულები. 2023 წლი თებერვალში სკოლაში განხორციელდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მიწერილობა N105. 2023 წელს სკოლამ ქალაქ გორის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

რესურსცენტრის მეშვეობით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა გამოყოფილიყო შესაბამისი თანხა მიწერილობაში დაფიქსირებული მოთხოვნების შესრულების მიზნით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესების სკოლის საზოგადოებისათვის გაცნობა სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს.

სკოლაში 2023 წლის 12 ოქტომბრის N2-147 ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი.

2015-2016 წლებში სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია მილენიუმის პროექტის ფარგლებში, თუმცა არ აქვს მიღებული შესაბამისი დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. 2023 წლის ივლისში სკოლის დირექციამ მიმართა წერილით სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების დასკვნის მოთხოვნით.

სკოლის დირექტორის N2-118 (04.09.2020წ) ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პანდემიის პირობებში გასათვალისწინებელ და გასატარებელ ღონისძიებებს.

სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბერის N2-96 ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ექთნისა და სამედიცინო სივრცის დებულება“ სკოლაში დასაქმებულია ექთანი, ვინაიდან ვაკანსიის გამოცხადების შემდგომ, ექიმი ვერ შეირჩა.

სკოლას აქვს დამატებითი გასასვლელი, ეზო შემოღობილია და დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება.

2023 წლის 20 სექტემბრის N2-93 ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საერთო სარგებლობის სივრცეების და მასში მოთავსებული მატერიალური რესურსის სარგებლობის წესს, მათ შორის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სარგებლობისას უსაფრთხოების საკითხებს.

ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112);

ბ) სამინისტროს ნომერი – 2 200 220;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481.

**სკოლას არ აქვს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა და განახლებული საევაკუაციო გეგმა.**

**სკოლას არ აქვს შესაბამისი დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3.4.1.1.ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 20 სექტემბრის N2-89 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების"დოკუმენტი განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად და სკოლაში ინტერვიუსას დადგინდა, რომ მოსწავლეთა ინფორმირება მათი უფლებებისა და წესების შესახებ ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათებისა და სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების საშუალებით. მაგალითისთვის, ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით და სხვა. მაგალითისთვის , სკოლამ განხორციელდა პროექტი-,,ბულინგი-რეალური საფრთხე", სადაც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები იყვნენ ჩართულები;
სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, ცხრილი გამოკრულია სკოლის ყველა სართულზე, მუშაობს მანდატურის სამსახური, ხორციელდება უცხო პირების შემოსვლა სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შემოსასვლელში, სარეგისტრაციო ჟურნალში ხდება შენობაში შესული პირების რეგისტრაცია. სკოლა ჰყავს დარაჯები, ხოლო სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში აყვანილი ყავს კარისკაცი, ყველა სართულზე გავქვს განთავსებული უსაფრთხოების სტენდი, რომელიც აღჭურვილია სპეცილური ხელსაწყოებით, საევაკუაციო გეგმა, პირველ სართულზე განთავსებულია სათადარიგო გასასვლელი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები"-ს დოკუმენტი არეგულირებს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისათვის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

განსახორციელებელ ღონისძიებებს. მათ შორის, განსაზღვრულია როგორ იქცევა სკოლა შემდეგი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში: სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, თვითდაზიანება, სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენა, მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის აღმოჩენა, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით, მოსწავლის დესტრუქციული ქცევა, მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა, მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფა, მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია იმოქმედოს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად.

სკოლაში ფუნქიონირებს მრჩევლთა საბჭო, რომელიც ასევე განიხილავს უსაფრთოებისა და წესრიგის დაცვის საკითხებს.( ოქმიN2 - 09.12.2022წ). სკოლის შინაგანაწესის მუხლი. 40 დეტალურად განსაზღვრავს სკოლის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლაში ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა მაქსიმალურ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დაგვიანებასა და გაცდენას, რომლის შესახებ ინფორმაციას მშობლებს აწვდიან კლასის დამრიგებლები . სკოლაში არაფორმალური განათლების გაძლიერებით იქმნება მოსწავლეთათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცე, საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც პიროვნულ, მორალურ და მოქალაქეობრივ ცნობიერების განვითარებაზეა ორიენტირებული.

სკოლაში საკლასო სივრცეებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათთვის მამოტივირებელ გარემოს ქმნის. საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. სკოლის ეზოს აქტიურად იყენებენ სპორტული აქტივობებისთვის და შეჯიბრებების ორგანიზებისატვის. ეზოშივე მოწყობილია დასასვენებელი სივრცე, რომელსაც მოსწავლეები აქტიურად იყენებენ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

**3.4.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რომელსაც არეგულირებს** სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირქტორის მ/შ. 28.09.2023 წლის N2-131 ბრძანებით „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“
დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სკოლაში არის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. საჭირო რესურსით, ჰიგიენური საშუალებები, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებებით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

**3.4.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს 19.07.2023 წლის N2-55 ბრძანებით პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმეთამმართველი.
მარეგულირებელ დოკუმენტად სკოლა იყენებს სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-92 ბრძანებით დამტკიცებულ“ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებს. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის გაცემის თაობაზე საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს გაფორმებული შეთანხმება მშობელთან მისი შვილის პირადი ინფორმაციის გამოყენების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე.

**3.4.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მიზნით შექმნილია დოკუმენტი „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, რომლის შესაბამისად ხორციელდება მონაცემთა დაცვა, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება, პერსონალური მონაცემების დაცვა, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Microsoft Teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისა,მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას,მონაცემების დაცვა ელექტრონული ბაზის წარმოებისას,მონაცემების დაცვა ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, საინფორმაციო მენეჯერს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს/დაცვას, მანდატურს, ექიმს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს. სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს დაცულია და ინახება სკოლის კანცელარიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.4.1.6. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების. იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 20 სექტემბრის N2-89 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრევენციულ ღონისძიებებს. შესაბამისად,

**3.4.1.7. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ N2-89 ბრძანება(( 20.09.2023)
- „სახნძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლი პირის“ N2-54 ბრძანება (29.07.2023)
- N2-147 ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ (12.10.2023)
- „ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“ ბრძანება N2-118 (04.09.2020წ)
- „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ექთნისა და სამედიცინო სივრცის დებულება“ N2-96 ბრძანება ( 20.09.2023)
- „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, N2-93 ბრძანება( 20.09.2023)
- სახანძრო უსაფრთხოების,საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N105( წერილი N MIA 523 00533888- 23.02.2023წ)
- სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგანტოსადმი გაგზავნილი წერილი N MES 7 23 0000844984
- ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი გაგზავნილი წერილი N MES 7 23 0000962848
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი (ოქმიN2 -09.12.2022წ).)
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“ N2-131 ბრძანება(28.09.2023 წ)
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს N2-55 ბრძანება “ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირის შესახებ“( 19.07.2023 წ)
- “ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ -N2-92 ბრძანება (20.09.2023წ)
- სადამრიგებლო პროგრამები
- მორიგეობის განრიგი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- განხორციელებული პროექტების და აქტივობების ჩამონათვალი
- საგნობრივი კურიკულუმები, ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- საშტატო განრიგი
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ **არ შეესაბამება**

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელი სკრა, 22-ე ქუჩა N 11 -ში განთავსებულ შენობაში, ყოფილი საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე. სკოლის დაზუსტებული ფართობია 10 747.00კვ.მ. ადმინისტრაციული შენობა ნ-ნაგებობის ფართია- 1539.21 კვ.მ., ხოლო დამხმარე შენობის ფართი 48.01 კვ. მ, რომელშიც განთავსებულია საქვაბე. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა სამსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს, ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს 220 მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა-300, რასაც უზრუნველყოფს სრულად მატერიალური რესურსით. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ. სკოლაში არის 13 საკლასო ოთახი კლასების განთავსებისათვის და დამხმარე საკლასო ოთახები სასწავლო პროცესისი განსახორციელებლად. კერძოდ, პირველ სართულზე განთავსებულია შიდა სპორტულ დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, მანდატურებისთვის განკუთვნილი ოთახი, ბუფეტი, ხოლო სხვა სართულებზე ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი და სხვა ძირითადი და დამხმარე სივრცეები. სკოლას აქვს იჯარით გაცემული სამზარეოულო(ბუფეტი) და ქორეოგრაფიული წრის ფუნქციონირებისათვის. სამივე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები , პირველ სართულზე განთავსებულია ადაფტირებული საპირფარეშო. სკოლას აქვს უსაფრთხოების წესების დაცვით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აქვს გამწოვი კარადა და ლაბორატორიისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესანახი სივრცეები. სკოლას აქვს მოწყობილი საკონფერენციო ოთახი, სადაც ეწყობა კათედრების, მოსწავლეტა თვითმმართველობის შეხვედრები. აქვე ხდება მასწავლებელთა მიერ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და საქმიანოს დაგეგმვა, სიახლეების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

პრეზენტაციები. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის დროს ჩაერთნონ სხვადასხვა აქტივობაში.
სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.
სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მილენიუმის პროექტით 2015-2016 წელს.

**3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმ. კომპიუტერული ლბორატორია ღჭურვილია 34 კომპიუტერით, რომელსაც სრულად იყენებს, ასევე, პროექტორით, პრინტერით და ციფრული ფოტოაპარატით. ჯამში სკოლაში არის 40 კომპიუტერი,( ელოდებიან 14 დესკტოპ კომპიუტერს)
„ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, განსაზღვრავს საერთო სარგებლობის სივრცეების და მასში მოთავსებული მატერიალური რესურსის სარგებლობის წესს, მათ შორის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სარგებლობისას უსაფრთხოების საკითხებს. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. სკოლას შემუშავებილი აქვს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 12.10.2023 წლის 2-148 წლის ბრძანებით „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“. დოკუმენტურად წარმოდგენილია და ასევე , გამოკრულია სკოლის ბიბლიოთეკაში „ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები“. ბიბლიოთეკა მოიცავს ორ საკლასო ოთახის სივრცეს, სადაც პირველში განთავსებულია კატალოგის მიხედვით , ანბანურად დალაგებული საკითხავი ლიტერატურა. ხოლო , მეორე ოთახი მოწყობილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ვიზიტისა და მუშაობისათვის. აქვე განთავსებულია სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე მასალები. ბიბლიოთეკაში დამუშავებულია წიგნადი ფონდი კანონმდებლობის შესაბამისად. სასკოლო ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. ბიბილიოთეკაში არის კომპიუტერი . წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასისა და ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.

სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბერის N2-96 ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ექთნისა და სამედიცინო სივრცის დებულება"

სკოლის ეზოში მოსწობილია საერთო დასვენების სივრცეები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები, სასკოლო გარემო ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას აქვს პირველ სართულზე ადაფტირებული საპირფარეშო. საერთო სარგებლობის სივრცეები ( კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი ) განთავსებულია პირველ სართულზე, გარდა რესურსოთახისა, რომელიც მდებარეობს მეორე სართულზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შშმ პირი, მაგრამ სკოლა მომავალში უნდა გაითვალისწინოს რესურსოთახის პირველ სართულზე განთავსება.აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა: სკოლამ** გაითვალისწინოს რესურსოთახის პირველ სართულზე განთავსება.

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

სკოლაში არსებული სივრცეები ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ფოიეში ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების განთავსება. საკლასო ოთახების კედლებზე გამოფენილია ასევე, მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლის სპორტულ დარბაზსა და ეზოში ეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისზიებები. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან არამარტო სასკოლო აქტივობებში, არამედ რაიონულ და უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებში. სკოლის ეზოში ტარდება მრავალი ღონისძიება, რომელსა გეგმავს არა მარტო სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები, არამედ მშობელთა საინიციატივო ჯგუფი და მოსწავლეთა

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

თვითმმართველობა. ეზოში არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე მწვანე ნარგავებით, მაგიდითა და სკამებით. სკოლის ბიბლიოთეკა აქტიურად იღებს მკითხველებს, რაც ვიზიტის დროსაც დადასტურდა. აქვე ეწყობა წიგნიერების კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებები, მუდმივი ინტერნეტკავშირი და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლბლობა სასკოლო საზოგადოებას აძლევს სხვადასხვა კულტურული თუ შემეცნებითი თემებით დაინტერესების შემთხვევაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. კლასის დამრიგებლები გეგმავენ სადამრიგებლო პროგრამებში შესაბამის აქტივობებს. სკოლაში აქტიურად მუშაობენ კლუბები:-„მკითხველთა კლუბი“, „ეკო კლუბი“ ‘უცხო ენების მოყვარულთა კლუბი“,კლუბი- „სახელოვნებო წრე“, რომელიც განსაკუთრებული შემოქმედებითობით გამოირჩევა და მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიან ხალიჩებს, რომელიც გამოფენილია სკოლის სივრცეში. საკლუბო აქტივობების განხორცილებისთვის უზრუნველყოფილია სკოლაში არსებულ რესურსებზე წვდომა. მნიშვნელოვანი ადგილია სასკოლო საზოგადოებისათვის საკონფერენციო სივრცე. ოთახი, სადაც ხდება კატედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო შეხვედრები, მნიშვნელოვანი სიახლეების გაცნობა დაა საჭირო მასალის პრეზენტაცია. შესაბამისად,

**3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები .**

სკოლას გააჩნია საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი სასკოლო კურიკულუმის განხორციელებისათვის. სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბილიოთეკაშია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსი ; საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამის მასალით და თვალსაჩინოებით; სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება: რუკები, პლაკატები, მოდელები, მათ შორის მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები და მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები. სკოლა აღჭურვილია შესაბამის სპორტული ინვენტარით. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის არის ყველა საჭირო, მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსი ინდივიდუალურ სათავსოებში განთავსებული. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.5.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ნახაზი(შენობის სქემა)
- „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“,
- სკოლის ხიფრული განვითარების გეგმა
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“. (12.10.2023)
- „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები“.
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ექთნისა და სამედიცინო სივრცის დებულება“
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო გეგმა
- კლუბების წესდებები
- საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები
- განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი და ფოტომასალა
- იჯარის ხელშეკრულებები;
- ადგილზე ვიზიტის შედგები

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა  :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

   სკოლას შემუშვებული აქვს „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი" და ციფრული განვითარების ინდივიდუალურიგეგმა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებულ ციფრული ტექნიკის რაოდენობასა და მისი სარგებლობის წესსა და ინდივიდუალურ განრიგს. კომპიუტერული ლბორატორია ღჭურვილია 34 კომპიუტერით, რომელსაც სრულად იყენებს, ასევე, პროექტორით, პრინტერით და ციფრული ფოტოაპარატით. ჯამში სკოლაში არის 40 კომპიუტერი,( ელოდებიან 14 დესკტოპ კომპიუტერს). სკოლა აქტიურად გეგმავს ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს, მრავალფეროვან გაკვეთილებს, აჩვენებენ ფილმებს, აკეთებენ პრეზენტაციებს საკონფერენციო ოთახში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიაში კომპიუტერები მოძველებული, შენელებულია. სკოლა გეგმავს რამდენიმე კომპიუტერის გაძიელერებას. ადმინისტრაციული საქმოანობის წარმართვისათვის, სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის მუშაობს- email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge ელექტრონულ სისტემაში, რაც შესაზლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი და საჭირო ინფორმაცია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია აღნიშნულიდან გამომდინარე,

#### 3.6.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

საჯარო სკოლის „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა რეგულირდება ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობა. მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში სკოლას გადაეცა 5 ლეპტოპი, რომელსაც აქტიურად იყენებენ კათედრის წევრები. კომპიუტერებითაა აღჭურვილი კანცელარია სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სისტემატურად ვიყენებთ საკონფერენციო ოთახს, სადაც გვიდგას ერთადერთი პროექტორი. აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია საჭიროებისამებრ. ციფრული განვითარების გეგმის შესაბამისად შედგენილია გრაფიკი, თუ როდი არის შესაძლებელი კომპიუტერების გამოყენება, გაკვეთილების შემდეგ რა დროს შეიძლება გამოიყენონ მოსწავლეებმა საზიარო სივრცე, მასწავლებლები მასწავლებლები უთანხმდებიან წინასწარ ერთმანეთს. სკოლას აქვს ერთი პროექტორი, რომელიც განტავსებულია საკონფერენციო ოთახში და აქტიურად იყენებენ სასწავლო, თუ არაფორმალური განათლების განსახორციელებელ, ხელშემწყობ რესურსად. მაგალითად, ფილმის ჩვენებისას, საპრეზენტაციოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების გაკვეთილზე. სკოლას აქვს შემუშავეული გეგმა რას გააკეთებს დისტანციური სწავლების შემთხვევაში, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მომავალში სკოლა გეგმავს პროექტორებისა და კომპიუტერების რაოდენობის გაზრდას. შესაბამისად,

**3.6.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი"
- სკოლის ციფრული განვითარების ინდივიდუალური გეგმა
- ადგილზე ვიზიტის შედეგები
- ძირითადი აქტივების ჩამონათვალი
- ინტერვიუს შედეგები

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-98 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი" , რომელიც საქართველოსი მოქმედი ლანონმდებლობის შესაბამისად ადგენს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, დოკუმენტებსა და განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. სკოლაში შემოსული დოკუმენტის მიღებას, პირველად დამუშავებასა და რეგისტრაციას, გარდა ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. შემოსული და გასური დოკუმენტაციის აღრიცხვა, რეგისტრაცია და ნომრის მინიჭება ხდება სკოლის ელექტრონული სისტემის (eFlow) საშუალებით. სამისმწარმოებელი მუშაობს eFlow და eSchool ელექტრონულ დოკუმენტ ბრუნვის სისტემებში .

სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (ბრძანებები ) ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში და ხელს აწერს სკოლის დირექტორი. ბრძანებების აღრიცხვა იწყება კალენდარული წლის დასაწყისში.

სკოლაში არის ბრძნებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი მატერიალური სახით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ სამისმწარმოებლის მუშაობას: შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, განცხადებების მიღების ფორმას, ბრძანებების გამოცემისა და რეგისტრაციას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების წარმოებას. სკოლაში მოქმედი „თანამდებობრივი ინსტრუქციის „ დოკუმენტით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის სამუშაო აღწერილობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3.6.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლაში მუშაობა ხორციელდება ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ eflow და eSchool-ს სისტემის მეშვეობით. სკოლა ინფორმაციას გასცემს და იღებს eflow-ს ოფიციალური დოკუმენტბრუნვის სისტემით, ასევე ელექტრონული ფოსტოთ, Skra@mes.gov.ge. შესაბამისად,

**3.6.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია. შევსებულია ყველა სავალდებულო ველი, ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტსტუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. სკოლის ბარათი განახლებულია, მასწავლებელთა პროფილი შევსებულია და სავალდებულო დოკუმენტები ატვირთულია. ასევე , განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, სსსმ მოსწავლის პროფილზე მისი სტატუსისათვის სავალდებულო დოკუმენტების ატვირთვას და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შესაბამისი სპეციალისტის მონიშვნას. ახორციელებს საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. შესაბამისად,

**3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორის მ/შ სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

**3.6.2.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-98 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი“
- „თანამდებობრივი ინსტრუქციები“
- სკოლის დირექტორის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- რეგისტრაციის ჟურნალები
- პირადი საქმეები
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- Eflow, email.mes.gov.ge-ვიზუალური დათვალიერება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-91 ბრძანებით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.
სკოლას აქვს ვებ გვერდი, https://skolebi.emis.ge/ , რომელზეც განთავსებული აქვს ყველა სავალდებულო დოკუმენტი, იგი ახორციელებს იმ მასალის განთავსებას, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლას აქვს ასევე სოციალური გვერდი, სადაც აქტიურად განათავსებს სკოლის ყოველდღიური ცხოვრების წარმატებულ აქტივობებსა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციას. სოციალური გვერდის საშუალებით სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე,
**3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-91 ბრძანებით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.
სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს.
სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სკოლის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნებას და პოპულარიზაციას. სკოლა სიახლეების, მიღწევების და სხვა საქმიანობის ამსახველი საკითხების სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს ვებ-გვერდისა , სოციალური მედიის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. შესაბამისად,

**3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

**3.6.3.3. ინდიკატორი არ შეფასდება**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, https://skolebi.emis.ge/. სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმჭიფო ენაზე, შესაბამისად ინფომაცია ვებ.გვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ენაზე. შესაბამისად,

**3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას გვერდი, https://skolebi.emis.ge/, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , პროგრამები, მხარდეჭერის სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, ინფრასტრუქტურა, ფინანსები. ვებგვერდი იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.6.3.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-91 ბრძანებით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში
- Eflow, email.mes.gov.ge-ვიზუალური დათვალიერება
- https://skolebi.emis.ge/,
- სოციალური ქსელი- გვერდის ლინკი: https://www.facebook.com/profile.php?id=100070011273341
-

შეფაება:

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა ძირითადად ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა მას აქვს მცირე ეკონომიური შემოსავალი იჯარით გაცემული ფართიდან. სკოლის შემოსავალები მიმართულია სკოლის საჭიროებებისაკენ. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე. ზამთრის სეზონზე ანგარიშზე ნაშთის არარსებობის გამო კომუნალური ხარჯის დასაფარად სკოლა მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც აფინანსებს სკოლის ზამთრის სეზონის კომუნალურ ხარჯებს.
სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის შემუშავებისას ხელმძღვანელობს გასული წლების ანალიზის(ხარჯებისა და შემოსავლების) შედეგებით. ინტერვიუსას დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები წარადგენენ საჭიროებებს, მ.ტ.უ.კ.-ი დირექციას აწვდის ინფორმაციას საჭირო რესურსების შესახებ, ბუღალტერთან ერთად დირექტორი მოიკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს სამეურვეო საბჭო და ამტიკიცებს სხდომის ოქმით. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტის კორექტირება და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს . სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მომდინარე წლის 20 ნოემბრამდე. საჭიროებების შემთხვევაში სკოლის წლიური შესყიდვების გეგმაში შეაქვთ ცვლილებები, რომელიც მტკიცდება სკოლის დირექტორის მ/შ-ს ბრძანებით. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდეგბა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რომელიც დასტურდება ადგილზე ვიზიტით და სამეურვეო საბჭოს ოქმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლა ყოველი წლის ბოლოს გასული წლის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე ამზადებს ანგარიშს, რის საფუძველზეც გეგმავს მომდევნო წლის ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდო ხარჯები და შემოსავლები. ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ ბიუჯეტის ცვლილებებს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს შემოსავლების ცვლილებით, ასევე ერთი მუხლიდან მეორეში გადატანის შემთხვევაში. სკოლის დირექტორი ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დეკემბრის თვის პირველ ნახევარში. სკოლა ფინანსურ ანგაარიშგებას წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 27 სექტემბრის N2-115 ბრძანებით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის „თანამდებობრივი ინსტრუქციების“ შესაბამისად სკოლის ბუღალტერი სახელწიფო შესყიდვების სწორად განხორციელების მიზნით, ასრულებს შესაბამისი მოქმედებებს სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე www.procument.gov.ge.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ყოველი მიმდინარე წლის არაუგვიანეს 20 ნოემბრისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს დირექტორის მიერ დამტკიცებულ მომავალი წლის სახელწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას.
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის" შიდა საქმიანიობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის" (12.10.2023 წლის N 2-149 ბრძანება) მე-5 მუხლით განოსაზღვრება ბიუჯეტირების პროცესის მონიტორინგი. პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, ფინანსური სამსახურის/ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი ანგრიშის საფუძველზე, რომელშიც დეტალურად უნდა იქნეს გადმოცემული ინფორმაცია ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესრულებაზე და რეკომენდაციები კორექტირების საჭიროებაზე. კორექტირების საჭიროება მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებისას უნდა განხორციელდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 27 სექტემბრის N2-115 ბრძანებით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის „თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის 2023-2024 წლის ბიუჯეტი
- ფინანსური ანგარიშგება
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის" შიდა საქმიანიობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის" (12.10.2023 წლის N 2-149 ბრძანება)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- სკოლის დირექტორის ანგარიში
- ადგილზე, ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 13 ოქტომბრის N9 სხდომის ოქმით დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია - მუხლი 17. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე დისციპლინასთან

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაკავშირებული საკითხები: მუხლი 22. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 23. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 27. მოსწავლის ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე.

სკოლაში შექმნილია დირექტორის მ/შ 28.09.2023 წლის N2-129 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“, სადაც მოსწავლეები, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ისე საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ, ხოლო როგორც სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ. კერძოდ, მათ აქვთ გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება,აკადემიური თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, პირადი საიდუმლოება( პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი),სამართლიანი მოპყრობის უფლება, მათთვის ყველა სასკოლო რესურსი ხელმისაწვდომია. სკოლას არ აქვს საჩვრის განხილვის პრაქტიკა.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 27.09.2023 წლის N116 ბრძანებით დამტკიცებული „მშობელთან ურთიერთობის დებულება“ აკონკრეტებს ვალდებულებებს სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის, რათა მოსწავლეს შეექმნას ყველა საჭირო პირობა ხარისხიანი განათლების მისაღებად. სკოლა ვალდებულია იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები; შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში; მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად წარმართვა; თავის მხრივ მშობელი ვალდებულია დაიცვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები; იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს სკოლასთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი თანამშრომლების მიმართ; მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის დამრიგებელთან და სკოლის დირექციასთან;

სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ 28.09.2023 N2-128 ბრძანებით „სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სკოლაში მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საშუალო საფეხურის თავმჯდომარე არის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს საკუთარი დებულება და სამოქმედო გეგმა. დისციპლინარული კომიტეტი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის თანაბარი რაოდენობით. სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეც.
21.06.2023 წლის N2-130 ბრძანებითაა სამტკიცებული „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი" რომლის მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლაში ვიზიტისას და სოფელ სკრის საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან დგინდება, რომ სასკოლო რეგულაციების შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოების წევრები. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ ხდება შინაგანაწესის გაცნობა. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესენჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. სადამრიგებლო ჯგუფები ასევე შექმნილია თიმსშიც, სადაც ტარდება მშობელთა კრებები და აქტიურად ხდება მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პირველ კლასელთა მიღებისა და ადაპტაციის პროცესისას სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლებთან ხდება საინფორმაციო შეხვედრა, სადაც სკოლა უზიარებს მისიას და შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებს. სკოლა ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს. მაგ.: კიბერ ბულინგთან დაკავშირებით, კლასის ხელმძღვანელმა მშობელთა ჩართულობით ერთობლივად შეიმუშავა გეგმა იმის თაობაზე, რა მოსალოდნელი საფრთეები არსებობს ინტერნეტის მოხმარებისას და რა უნდა გაკეთდეს პრობლემების აღმოსაფხვრელად. სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდის საშუალებით. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.1.1.2. დიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება კანონის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიოა. ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა ( სკოლა, მშობელი, მოსწავლე) უფლება-მოვალეობას, პერსონალური მონაცემების გამოყენებას, სწავლის , დასვენების დროს და უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტასა და მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, მხარეთა რეკვიზიტებს. ხელშეკრულებები დანომრილია. ყოველ ახალ სასწავლო წელს სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას პირველკლასელთა მშობლებთან, ხოლო სასწავლო წლის მიმდინარეობისას სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა მშობლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შინაგანაწესი
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“ (28.09.2023 წლის N2-129 ბრძანება)
- „მშობელთან ურთიერთობის დებულება“- (27.09.2023 წლის N116 ბრძანება)
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-(28.09.2023 N2-128 ბრძანება)
- 21.06.2023 წლის N2-130 ბრძანებითაა სამტკიცებული „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“
- თვითმმართველობის დებულება
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N2 ( 09.12.2022წ)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 (05.09.2023წ)

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- “სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სადამრიგებლო დებულება ” 20.09.2023წ. N2-102 ბრძანება
- დამრიგებლის პორტფოლიო

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ 28.09.2023 N2-128 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,რომელიც არეგულირებს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
წესი განსაზღვრავს შემდეგ პროცედურებს :

- მოსწავლის სტატუსის მოპოვება - პირველ კლასში ჩარიცხვა
- მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის სკოლაში ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მოპოვება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით მოსწავლის ჩარიცხვა
- მობილობის უფლება.
- მობილობა
- მობილობის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარმოდგენა
- . მოსწავლის სტატუსის შეჩერება
- . მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებს, სკოლაში მოსწავლის გამოცხადების წესს, წავლების ენა, სასწავლო პროცესის ორგანიზებას.

მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხდება ამ წესისა და საქრთველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ამ პროცესის განსახორციებლად სკოლა ატარებს შესაბამის ღონისძიებებს და სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით ხდება პროცესის დასრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა გაცდენებზე კლასის ხელმძღვანელები დროულად რეაგირებენ. ზედიზედ ათი დღის გაცდენის შემთხვევაში დამრიგებელი იკვლევს მოსწავლის გაცდენის მიზეზს და აწვდის ინფორმაციას სკოლის დირექციას, ფაქტის გამეორების შემთხვევაში და 30 დღის გასვლის შემდეგ ხდება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა. მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების“ შესახებ N 193/ნ ბრძანების და „სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, შესაბამისად. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მშობლის განცხადების საფუძველზე მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა ხორციელდება სკოლის დირექტორის მ/შ-ს ბრძანების საფუძველზე. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

**4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. სასკოლო -სასწავლო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებს, პირობებს, პროგრამებს და მათი სპეციფიკას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა და ხელმისაწვდომია. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე. სოლაში ფუნქციონირებს საკოლო კლუბები, რომელთა წესდება და სამოქმედო გეგმა გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლაში იჯარით გაცემულ ფართში ფუნქციონირებს ბუფეტი.

**4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის პერსონალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განახლებული და არადისკრიმინაციულია. კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას სერვისების, დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, სპორტული აქტივობების, ღონისძიებების, განსახორციელებელი პროექტების შესახებ მოსწავლეებსა მშობლებს სოციალური ქსელითა თუ პირისპირ, საინფორმაციო შეხვედრებზე. სკოლის ვებგვერდის განხლება და არადისკრიმინაციული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზება მუდმივად ხდება. განახლების პროცესი ეფუძნება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-91 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის" მიზანია სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე სოციალური ქსელის გვერდზე და ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება;
შესაბამისად,

**4.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის მ/შ 28.09.2023 წლის N2-129 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი";
- საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 27.09.2023 წლის N116 ბრძანებით დამტკიცებული „მშობელთან ურთიერთობის დებულება";
- სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ 28.09.2023 N2-128 ბრძანებით „სსიპ გორის მუნიციპალიტეტი სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" ;
- 21.06.2023 წლის N2-130 ბრძანებითაა სამტკიცებული „ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი"
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმნეტი/წერილი N MES 4 23 0000004073
- თვითმმართველობის დებულება
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლის ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანებები

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება N2-30
- მშობლის მიმართვის ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 20 სექტემბრის N2-99 ბრძანებით დამტკიცებულია „ სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.

საყურადღებოა, რომ სკოლა აკვირდება მოსწავლის ადაპტაციისპროცესს და განსაზღვრული აქვს წარმატებული ადაპტაციის ნიშნები. კერძოდ, თუ მოსწავლე მხიარული, მშვიდი და ხალისიანია, სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის, სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი, დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, სიამოვნებს სკოლაში წასვლა და სკოლისათვის მზადების პროცესი, მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი, დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე, არ აქვს სკოლასთან, მასწავლებელსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები.

სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭიროა ინფორმაციის მოპოვებას ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საშუალებით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.

პროცედურულად მოსწავლის ადაპტაცია ხორციელდება შედეფნაირად: სკოლის დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: სკოლის ეზოს და დასასვენებელ სიცრცეებს, საკლასო ოთახებს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს, საერთო სარგებლობის სივრცეებს.

სკოლის შიდა საქმიანიობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლი „მოსწავლისათვის მხარდამჭერი სერვისების შემუშავება, დანერგვა, შეფასება და განვითარება“ განსაზღვრავს კლასის დამრიგებლის ფუნქციას , გაუწიოს დახმარება ახალგადმოსულ მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციაში, კლასელებთან ურთიერთობის დამყარებაში.

სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით ითვალისწინებს სკოლაში ტრანზიციის ფარგლებში პირველკლასელების სადღესასწაულო დახვედრის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუსას ირკვევა, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეებსა და მშობლებს ხვდებათ სადღესასწაულო გარემო, საზეიმოდ მორთული ეზო და საკლასო ოთახები. აქტიურად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სიახლეების გაცნობა და ახლად გადმოსულ მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გაცნობა. პირველკლასელებისათვის ხდება საზეიმო სივრცის მოწყობა, სახელმძღვანელოებისა და ბუკების გადაცემა ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. მათ მშობლებს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და შიდა სასკოლო რეგულაციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს: სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური მოღწევების გასაუმჯობესებელ პროცესებს. სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები იღებენ მასწავლებლის მხარდაჭერას აკადემიური უნარების, სწავლის გაუმჯობესებისათვის. სკოლამ აღნიშნა , რომ დიდი ხანია არ მომხდარა სკოლაში ექსტერნების რეგისტრაციის წესით მოსწავლის საგამოცდო პროცესების წარმართვა, არც საშემოდგომო გამოცდის ფაქტს არ ჰქონია ადგილი. შესაბამისად კონკრეტული მიმართულებით საკონსულტაციო პროცესები არ წარმართულა. მასწავლებლები კონსულტირებას უწევენ მოსწავლეს, სწავლის სირთულის დასაძლევად და ეროვნულ ოლიმპიადაზე გასწვლის წინ. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, იყენებენ პროექტულ სწავლებას და კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კონტექსტმაგალითები, რომლებიც უადვილებს თეორიულად მიღებული ცოდნის ტრანსფერს ცხოვრების ყოველდღიურობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

4.2.1.3. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ აუცილებელ ინფორმაციას. მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. პირველკლასელთა რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე ინფორმაცია სოციალური ქსელისა და ვებ.გვერდზე, ასევე, სკოლაში საჯარო სივრცეში განთავსებით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მეორე ეტაპისათვის დაგეგმოს დედმამიშვილის რეგისტრაცია. სკოლას აქვს მოსწავლის აქვს შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის გამოცდილება. სკოლა გაუწევს ადმინისტრირებას საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში გამოცდის ტიპი, ჩატარების წესები და პირობები, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი. . სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

4.2.1.4. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

„სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის“ მე-9 მუხლით გათვალისწინებულია მოსწავლისათვის მხარდამჭერი სერვისების შემუშავება, დანერგვა, შეფასება და განვითარება. მოსწავლისათვის მხარდამჭერი მექანიზმები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შესაფასებლად. შეფასების მიზანია სკოლამ უზრუნველყოს ადეკვატური და იოლად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების არსებობა.
შეფასების ინდიკატორებია:
• ახალგადმოსულ მოსწავლეთა დახმარება გარემოსთან ადაპტაციაში, რაც გულისხმობს კლასის დამრიგებლის მიერ მის დახმარებას კლასელებთან ურთიერთობის დამყარებაში.
• გარკვევა და დახმარება ტრანსპორტირების საკითხში.
• მოსწავლეთათვის სხვადასხვა პროექტების შეთავაზება;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

• სხვადასხვა ოლიმპიადების ორგანიზება;
• აკადემიური აქტივობების შეთავაზება;
• სასკოლო კურიკულუმის გარე აქტივობების შეთავაზება, როგორიცაა სპორტული შეჯიბრებები, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები და სხვ.
• მოსწავლეთათვის დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცის არსებობა;
• სპორტული მოედნის არსებობა;
• შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს არსებობა;
• სასწავლო-საბიბლიოთეკო რესურსზე ხელმისაწვდომობა;
• ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა;
• მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდან განხორციელბული ღონისძიებების მხარდაჭერა დირექციისგან;
• მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ჰიგიენა
• სტანდარტების შესაფერისი ბუფეტი.
• სწავლის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობა;

გამოკითხვაში მონაწილეობენ ყველა კლასის მოსწავლეები (1-6 კლასების მშობლები); სამიზნე ნიშნული -თუ გამიკითხულთა 15 პროცენტი ასახელებს ერთი და იგივე სერვისის მიწოდების პრობლემას, მაშინ ხდება პრობლემის იდენთიფიცირება და მისი დაძლევა, შესაბამისი სამსახურების მიერ.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის " საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში" გამოკვეთილია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა. სკოლა ზრუნავს მოსწავლეების მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის, იდენტობის და სხვა კომპეტენციების განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებული აქვს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები: სხვადასხვა შიდა სასკოლო აქტივობების მხარდაჭერა:

- სპორტული ინციატივების მხარდაჭერა ( განხორციელებული პრექტი-„ჯანსაღი ცხოვრების წესი";ევროპის სპორტის კვირეულში ჩატარებული მარათონული გარბენი 2022-2023 და გარბენი 2023-2023" სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2022-2023; სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარლებში გაიმართა შეჯიბრი გეზრბენში, გოგნათა და ვაჟთა კატეგორიაში. გოგონათა გუნდმა დაიკავა მე-2 ადგილი.)
- საკლუბო მუშაობის მხარდაჭერა; სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, რომელიც აქტიურად არის ჩართული USAID-ის განხორციელებულ პროექტებში( განხორციელებული პროექტები: ვიზიტი პარლამენტში, მომავლის სკოლა, პროექტი ,,კიბერბულინგი-რეალური საფრთხე" „ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი" „რა განძი გვქონია" და სხვა; ასევე სკოლის მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინიციატივების გათვალისწინებით შემნილია „მკითხველთა კლუბი“, „ეკო კლუბი“ ‘უცხო ენების მოყვარულთა კლუბი“,კლუბი-„სახელოვნებო წრე“, რომელიც განსაკუთრებული შემოქმედებითობით გამოირჩევა და მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიან ხალიჩებს. სკოლა აქვს ციფრული გაზეთი-„ციფრულიმოხალისეები“

- საპროექტო მუშაობის მხარდაჭერა; სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეების წახალისების მიზნით ჯილდოვდებიან სიგელებით, დიპლომებით, სერტიფიკატებით, მადლობის წერილებით და ფასიანი საჩუქრებით. სკოლის კათედრებს განხორციელებული აქვთ სხვადასხვა აქტივობა მშობელთა ინიციატივითა და ჩართულობით, მაგ:საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვა მშობელთა ჩართულობით ,, სააღდგომო თემატიკა“, საახალწლო გამოფენა გაყიდვა მშობელთა ჩართულობით; უცხოენების კატედრებს მოწყობილი აქვთ გამოფენები, შექმნილი აქვთ მოსწავლეებს ხელნაკეთი წიგნები-„მხიარული ანბანი“ (V კლ)„ ჩვენი ბლინების რეცეპტები (IX –X კლ); „უცნაური ჩიტები მსოფლიოს გარშემო“ (VII კლ); წიგნი “კურდღელი და კუ” (V კლ) მოეწყო ღონისძიება „სოკოს ქვეშ“ https://www.youtube.com/watch?v=h9q8QhUSTfk (VI კლ); საბუნებისმეტყველო კათედრაზე განხორციელდა განხორციელდა შემეცნებითი-ინტელექტუალური კონკურსი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებში VIII, IX,X კლასის მოსწავლეებს შორის; პროექტი,,გავუფრთხილდეთ დედამიწას“; ეკოკლუბის ინიციატივით შეგროვდა მაკულატურა და ჩაიბარა ,,Pulp” კულტურამ,მიღებული ფულადი სარგებლით სკოლამ შეიძინა მარადმწვანე ნერგი და დაირგო სკოლის ეზოში; მკითხველთა კლუბისა და სახელმწიფო ენის კათედრის ერთობლივი ღონისძიება - შეხვედრა პოეტთან; კალიგრაფიის კონკურსი ,,საუკეთესო კალიგრაფისტი“ და მრავალი სხვა აქტივობა.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სადამრიგებლო დებულების მიხედვით დამრიგებელი მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

4.2.1.5 . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს მიხედვით დგინდება , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მშობლების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. მაგალითად, სკოლას ემსახურება ტრანსპორტი და მშობელთა თხოვნითჩაამატეს ლოკაცია, შემუშავდა მოქნილი გრაფიკი, გაიცა იჯარით ფართი ქორეოგრაფიული წრის ფუნქციონირებისათვის , ასევე, სკოლამ გასცა ფართი იჯარით კვების ობიექტზე. უკუკავშირი ძირითადად პირისპირ შეხვედრების დროს ცხადდება მშობელთა კრებებზე, მასწავლებელთა შეხვედრებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობიდან. სკოლას რიგ შემთხვევაში სარგებლოს ინიციატივების სპეციალური ფორმით. ასევე აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს სოციალური ქსელის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4.2.1.6. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, (2023 წლის 20 სექტემბრის N2-99 ბრძანება)
- სკოლის შიდა საქმიანიობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- “ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“
- კათედრების მიერ წარმოდგენილი განხორციელებული საქმიანობა,
- სკოლის საკლუბო მუშაობის დებულებები
- საკლუბო მუშაობის განხორციელებული აქტივობები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა
- კათედრის პორტფოლიო
- მოსწავლის, მასწავლებლის, დამრიგებლის თვითშეფაების კითხვარები
- დამრიგებლის დებულება
- ინიციატივების ფორმა
- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუ

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „განთიადთან“. პროექტის ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლები უტარებდნენ სკოლის მოსწავლეებს სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის მიმართულებით, ეწეოდნენ პრაქტიკულ საქმიანობასაც რამაც ხელი შეუწყო ზოგიერთი მოსწავლის სწავლის გაგრძელებას პროფესიულ კოლეჯში. მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტი,,საქართველოს ფერმერთა ბიზნეს ფორუმ 2022-ზე", სადაც მოსწავლეებმა მიიღეს საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ჯიშების ფართოდ დანერგვის პერსპექტივებზე და სოფლის მეურნეობის პოპულარულ პროფესიებზე მიიღეს ინფორმაცია. სკოლა გარკვეულიპროფესიების პოპულარიზაციის მიზნით იწვევს სტუმრებს. მაგალითად, გორის სამუსიკო კოლეჯმა წარმოადგინა კოლეჯის პრეზენტაცია, ვიზიტით იმყოფებოდა ასევე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მემორანდუმის ფარგლებში დამატებით, ახორციელებს სასკოლო პრაქტიკას. დაწყებითმა კლასებმა მოიწვიეს პროფესიების პოპულარიზაციისათვის , სოფლის ექიმი და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი. სკოლა გეგმავს მომავალში სასკოლ-სასწავლო გეგმაში გაწეროს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება . აღნიშნულიდან გამომდინარე,
4.2.2.1. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლის ოფიციალურ მეილზე შემოსული ინფორმაცია ზიარდება სკოლის მოსწავლეებში, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „განთიადთან“, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სკოლაში სტუმრობენ სხვადასხვა პროფესიული კოლეჯის და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, მოსწავლეთათვის პროგრამების გასაცნობად( გორის თავდაცვის აკადემია, გორის მუსიკალური კოლეჯი.) სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სადამრიგებლო დებულება განსაზღვრავს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კლასის დამრიგებლის ვალდებულებას დაეხმაროს მოსწავლეს სხვდასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში. ასევე, მომავალი პროფესიის არჩევაში; აღნიშნულიდან გამომდინარე,

4.2.2.2. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა:** კლასის დამრიგებლებმა სადამრიგებლო პროგრამაში გაწერონ კლასის საათები და დაგეგმონ აქტივობები შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაზე;

**3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის შიდა საქმიანიობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება, რომელიც ციკლური ხასიათისაა, რაც გულისხმობს პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას მოსწავლეთა კომპეტენციის თვალსაზრისით. ასევე, სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება, სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი; სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასება, მოსწავლეთათვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების სხვადასხვა სახით შემუშავება, დანერგვა, შეფასება და გაუმჯობესება. სკოლა გამოთქვამს მზაობას ამ მექანიზმების გამოყენებით მოახდინოს გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება . სკოლაში მართვის ხარისხის ამაღლებისათვის ასევე გამოიყენება: თანამშრომელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და კლასის დამტიგებლების თვითშეფასების ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე,

4.2.2.3. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სადამრიგებლო დებულება;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლასა და კოლეჯ „განთიადს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი;
- სკოლასა და გოტის სახლმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემრანდუმი;
- Email.mes.gov.ge
- eflow
- ვიზიტის დროს წამოდგენილი მასალები და ინტერვიუს შედეგები;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლა სხვადასხვა დოკუმენტით არეგულირებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობი მექანიზმებს. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ აზუსტებს, რომ სსსმ მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა. „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მე- 9 მუხლი მოიცავს სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესსა და პირობებს. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელთაც ევალებათ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ჯგუფი ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული 2023 წლის 29 სექტემბრის N2-132 ბრძანებით „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი“

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი. სპეციალური მასწავლებლები ხელს უწყობენ სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფასა და ინტეგრაციას სასკოლო სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა წარიმართება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და სკოლაში შემუშავებული ინდ. გეგმების შესაბამისად. აქედან გამომდინარე,

**4.2.3.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**რჩევა :** სკოლამ შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების ერთიანი დოკუმენტი კონკრეტულად გაწერილი პროცედურებითა და მექანიზმებით.

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი“ დოკუმენტით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ვალდებული არიან მუდმივი კომუნიკაცია იქონიონ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით უზრუნველყონ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია გაუწიონ სსსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მხარდაჭერისა და სახლის პირობებში მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის. ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა დროულად არ ახორციელებს სსსმ მოსწავლის გადაფასებას მულტიდისციპლინარული გუნდის რეკომენდაციების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა , რომ სკოლაში ირიცხება რვა სსსმ მოსწავლე. მოსწავლეებს ემსახურება 2 სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც მუშაობენ ინდივიდუალური გრაფიკით. შექმნილია ისგ ჯგუფი და შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ისგ.ჯგუფი სამუშაო შეხვედრებს ადასტურებს ოქმებით. მშობელთან კომუნიკაცია შვილის აკადემიური უნარების შესახებ ხდება როგორც პირისპირ, ისე სატელეფონო საუბრებით. მასწავლებლები წერენ მოსწავლეზე განმავითარებელ შეფასებას და ახორციელებენ ინდ. გეგმის მონიტორინგს შესაბამისი ფორმით. ასევე, შეხვედრებზე იხილავენ მოსწავლის შედეგებს, სასწავლო პროცესში ჩართულობას, სახავენ გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. სკოლა გამოხატავს მზაობას შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების სრულყოფილი დოკუმენტი და ასევე, იხელმძღვანელოს კონკრეტულად გაწერილი მექანიზმებით .

შესაბამისად,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4.2.3.2. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მექანიზმებს. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“
- „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი“ (2023 წლის 29 სექტემბრის N2-132 ბრძანება)
- ისგ.ჯგუფის ოქმები N1, N2, N3, N4
- ინდ.ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-18
- ინდ.გეგმები
- სპეც.მასწავლებლების სამუშაო განრიგი
- მულტიდიციპლინარული გუნდის დასკვნა
- მშობლის მიმართვიანობის ფორმა
- სკოლის მიმართვიანობის ფორმა

***4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლას იჯარით აქვს გაცემული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფართი კვების ობიექტზე და ქორეოგრაფიული წრის ფუნქციონირებისათვის. სკოლას ფართის გადაცემა შეთანხმებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან , მიღებული აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვა და ინფორმაცია მიწოდებული აქვს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება და ქონების გადაცემის შესახებ მიღება -ჩაბარების აქტი.
სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს მეზობელი სოფელებიდან და დევნილთა დასახლებიდან მოსწავლეების ტრანსპორტირებას.
სკოლამ წარმოადგინა ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დიკუმენტაცია, კერძოდ, ტრანსპორტის გამართულობასთან დაკავშირებული დოკუმენტი, დაზღვევა, მძღოლის მართვის მოწმობა, ტექ.პასპორტი. შესაბამისად,

**4.2.4.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:** 

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და ადგილზე ვიზიტით დგინდება, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა ექსკურსიების დროს ხორციელდება მომართვის თანდართული ყველა საჭირო დოკუმენტაციის საფუძველზე, ნებაყოფლობითია და შეთანხმებულია სკოლის დირექტორთან. მოსწავლეთა ტრანსპორტირება მეზობელი სოფლებიდან ხორციელდება მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, წარმოდგენილია მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დიკუმენტაცია, კერძოდ, ტრანსპორტის გამართულობასთან დაკავშირებული დოკუმენტი, დაზღვევა, მძღოლის მართვის მოწმობა, ტექ.პასპორტი. მონიტორინგს ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობა. სკოლაში გაცემულია ფართი იჯარით ( კვების ბლოკი და ქორეოგრაფიული წრე) შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან, საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე და ინფორმაცია მიწოდებული აქვს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. აქედან გამომდინარე ,

**4.2.4.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

რადგან სკოლის ტრანსპორტირების მომსახურების უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, ხოლო, საკოლო ექსკურსიების მოწყობისშემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების დაცვას და საჭირო დოლუმენტაციის წარმოდგენას აკონტროლებს სკოლის დირექტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

**4.2.4.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვა
- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



- იჯარის ხელშეკრულება
- ტრანსპორტის გამართულობასთან დაკავშირებული დოკუმენტი,
- დაზღვევა
- მძღოლის მართვის მოწმობა,
- ტექ.პასპორტი.
- კლუბების წესდებები
- ადგილზე ვიზიტი, ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება**

**I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად, რამდენადაც, დოკუმენტში მკაფოდ ჩანს კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი დირექციისა და პედაგოგების ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მათი თანამონაწილეობა წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის მიზნით. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის საინფორმაციო არხების საშუალებით. გარდა ამისა, ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას წარმოადგენს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც მასწავლევლები უგზავნიან და იღებენ მათგან უკუკავშირს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კურიკულუმებს საგნობრივი კათედრების დონეზე გეგმავენ კონკრეტული მასწავლებლები. ისინი დანერგვის პროცესში ინიშნავენ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელლები კათედრისთვის ამზადებენ თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავენ კოლეგებთან ერთად. კათედრის თავმჯდომარეები აგროვებენ წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ და აწვდიან დირექციას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაზუსტდა მათი ერთობლივი მუშაობის ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიმართ მაღალი მზაობა, რაც აძლევთ საშუალებას კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს მასწავლებლების და მოსწავლეების ინტერესები.
გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ პროცესებში ჩართული არიან როგორც პედაგოგები და დირექცია, ისე მოსწავლე და მშობელი, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მათი მონაწილეობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში იძლევა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **შესაბამისად,**
**2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს კურიკულუმში ასახვის მიზნით. მათი ინტერესების გათვალისწინებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მეორე უცხო ენა სწორედ მშობელთა სურვილების გათვალისწინებით არის შერჩეული, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმები. მოსწავლეთა ინტერესების კურიკულუმში ასახვის მიზნით მასწავლებელი, დანერგვის პროცესში ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი კათედრისთვის ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავს კოლეგებთან ერთად, ისმენს და ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის რეკომენდაციებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ კათედრებისა და დირექციის შეხედულებების კურიკულუმში ასახვას განაპირობებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

პედაგოგების თქმით, სასწავლო წლის განამვლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, რის საფუძველზეც მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.

მასწავლებელთა მიერ სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას ადასტურებს მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებმა შეასრულეს კომპლექსური დავალება „ჩემი სოფლის პოპულარული ხილი“, რომელიც დაიგეგმა და შესრულდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და მისი რევიზიის განხორციელების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **შესაბამისად,**
**2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებულინკომპლექსური დავალებების შემუშავება .

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობაც. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები სკოლას აწვდიან ინფორმაციას მათი შვილების შესახებ. მაგ: როგორ ართმევენ ისინი თავს დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულ იქნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა მოსწავლეზე დაკვირვებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები და მაგალითები შედარებისთვის.

კათედრების ფარგლებში, ყველა მასწავლებელი მონაწილეობს კურიკულუმის შექმნაში. ისინი ერთობლივად თანხმდებიან კურიკულუმში შესატან საკითხებზე, ქვესაკითხებზე, სამიზნე ცნებებზე, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და სასწავლო რესურსებზე. არჩევენ დიაგნოსტირების ინსტრუმენტებს, თანხმდებიან განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და ასევე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის მექანიზმებზე. დირექცია (დირექტორის მოადგილე და დირექტორი) აერთიანებს კათედრების მიერ მიწოდებულ მასალებს და რამდენადაც, კურიკულუმები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით,
**2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება ისეთი საკომუნიკაციო არხები, როგორებიცაა: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საინფორმაციო დაფა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან განხორციელდა კომპლექსური ტიპის დავალებების არსის გაცნობით მშობელთა კრებებზე, რაც ასახულია სადამრიგებლო პროგრამებში, ხოლო შემდეგ კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათების მათთან გაგზავნით.
2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დახვეწას და განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის ვებ. გვერდი ახლა იწყებს ფუნქციონირებას, სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაზიარების მექანიზმად აქტიურად იყენებს სკოლის მიერ შექმნილ გვერდსა და ჯგუფებს სოციალურ ქსელში, სადაც კარგად ჩანს საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში, ქვეყნდება მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ
**2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ);
4. უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი;
5. უცხო ენების კათედრის ანგარიში;
6. სკოლის თვითშეფასება;
7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
8. შესრულებული კომპლექსური დავალება „ჩემი სოფლის პოპულარული ხილი“;
9. სკოლის თვითშეფასება;
10. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სასწავლო კურიკულუმები მიემართება სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებები) და საფეხურის მისაღწევ შედეგებს. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს, ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგ: ჩემი ოჯახი, ჩემი სახლი, ჩემი ქალაქი, ადგილები, ჩემი სკოლა,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, თავისუფალი დრო, მაღაზია, საყიდლები, ფილმები, საჭმელ-სასმელი და სხვა). სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის აგების ერთ-ერთ გზად განიხილავენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც გამოყენებულია შუალედურ მიზნებად, შეესაბამება დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას, როგორიცაა: პოსტერი საყვარელი ცხოველის შესახებ; დახატე და წერილობით აღწერე შენი საყვარელი მულტფილმის გმირი; პრეზენტაცია ფავორიტ ადამიანთან სტუმრობის შესახებ; მოთხრობის შედგენა სახელწოდებით „ცნობილი ნახატის გაცოცხლება; ანბანის წიგნის შექმნა, ილუსტრირებული პოსტერის შექმნა „ჩემი საყვარელი კერძი“ და სხვა.

კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლის პროცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე). კომპლექსური დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების გაწერისას თითოეულ თემას უკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტ მაგალითებს, რაც ეხმარებათ აღძრან მოსწავლეებში ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდსა და აქტივობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

**2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით. ასევე კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. მაგალითად, VI კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სავალდებულო თემის (ბუნება) ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალების პირობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პოსტერის შექმნა სახელწოდებით „როგორ გადავარჩინოთ ბუნება", რომელშიც მოსწავლეები ისაუბრებენ როგორ შეიძლება დავიცვათ ბუნება სახლში, ზღვის სანაპიროსა და პარკში. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება მეორე უცხო ენის სტანდარტის სავალდებულო თემატურ ჩარჩოს (ბუნება), ფარავს უცხო ენების გრძელვადიან მიზნებს და მეორეს მხრივ მოსწავლეს უვითარებს ისეთ ფუნქციურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ და გამოიყენებენ დამატებით ლიტერატურას, ინტერნეტით მოძიებულ მასალებს და პროექტულ სწავლებას. ამ მხრივ მათ უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება, რომლიც დამადასტურებლადაც წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესრულებული აქვთ კომპლექსური დავალება ჰორიზონტის მხარეებზე, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა იმუშავეს სკოლის ეზოში და შექმნეს სოფლის რუკა.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან ინტერვიუები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფუნქციური უნარებზე ორიენტირება მასწავლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შესაბამისად,

**2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმებში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ამას ადასტურებს მაგალითად მეორე უცხო ენის (რუსული ენა) მასწავლებლის მიერ შექმნილი დიფერენცირებული დავალებები. წარმოდგენილ რესურსში განსხვავებული დავალებები არის გათვლილი მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებული მიდგომის სხვადასხვა მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, კომპლექსურ დავალებას ამარტივებენ და არგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მათ აძლევენ უფლებას, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას შეარჩიონ სასურველი ფორმა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხი რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლას დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშებით. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.
რაც შეეხება დაწყებით საფეხურზე ქართული ენის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ კურიკულუმს, აქ არ ჩანს დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. თუმცა, სკოლა გამოხატავს მზაობას დიფერენცირებული მიდგომები ასახოს სასკოლო კურიკულუმში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევენ მოსწავლეს, აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად,
**2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორივე ტიპის შეფასების ინსტრუმენტები. ისინი გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, რომელიც მრავლად შესთავაზა „G-pried"-ის (დაწყებითი განათლების) პროექტმა. შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები თავად მოსწავლეებიც. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, საფეხურებისა და კლასების მიხედვით. აღნიშნული რუბრიკების უმეტესობა მორგებულია კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. მოცემულ რუბრიკებში სწორად არის გათვალისწინებული კავშირები გრძელვადიან მიზნებს (უცხო ენის მაგალითზე - ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი), მკვიდრ წარმოდგენებს, სტანდარტის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის.
შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. აღნიშნული დასტურდება სასწავლო წლის ბოლოს კათედრების მიერ შედგენილი ანგარიშებით, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები და განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

გარდა კათედრების ანგარიშებისა, წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინება იკვეთება უშუალოდ კურიკულუმებშიც, სადაც გაწერილი აქვთ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების გამოცდილება აქვთ. (სკოლა 2019 წლიდან არის ჩართული ახალი სკოლის მოდელში და კომპლექსური დავალებების განხორციელების საკმაო გამოცდილება აქვთ). მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე აკეთებენ განხორციელებული აქტივობების ანალიზს, მსჯელობენ რომელმა განხორციელებულმა აქტივობამ შეუწყო ხელი მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას და რომელმა არა. გამოცილების ანალიზს კი ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

**2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წ)
6. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
7. კათედრების ოქმები;
8. სკოლის თვითშეფასება;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. თუმცა, მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრები გეგმავენ შეარჩიონ, გადაამუშაონ და კურიკულუმში ჩააშენონ მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. მაგალითისათვის მათ წარმოადგინეს II კლასში უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალება "საჩუქარი პირველკლასელებისთვის". ასევე გასაუბრების დროს მათემატიკის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განხორციელებული აქვთ სხვადასხვა პროექტი, რითაც ხელი შეუწყვეს მოსწავლეების შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას.

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები უცხოურ ენებში. მაგ: კედლის გაზეთი „ტრადიციები ახლა და წარსულში" (VI კლ), კედლის გაზეთი „ ნეზნაიკა და მისი მეგობრები" (VI კლ); წიგნი „მხიარული ანბანი" (V კლ). მეორე უცხო ენაში, განხორციელებული აქვთ ღონისძიება-სპექტაკლი, სახელწოდებით „სოკოს ქვეშ", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა მოირგეს სხვადასხვა ზღაპრის პერსონაჟის როლი და დადგეს თეატრალური სცენები.

გარდა ამისა, სპორტის კათედრის მიერ იქნა წარმოდგენილი კურიკულუმები, რომელშიც შეტანილია მრავალფეროვანი თემები როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით, დაგეგმილია ფესტივალები და სხვა სპორტული ღონისძიებები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარები, რასაც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების პირობები. თუმცა, გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, დაწყებით საფეხურზე იგეგმება საბუნებისმეტყველო

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

თემაზე პროექტები თუ სხვა ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, მათ აქტიურ ჩართულობას და ცოდნის გამოყენებას. უნდა აღინიშნოს ასევე საბუნებისმეტყველო კათედრის გამოცდილება ამ მიმართულებით. მაგალითისათვის: ჯანსაღი ცხოვრების წესის კვირეულის ფარგლებში III კლასში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოსწავლეებმა დაასახელეს ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები, ასევე დასახეს გადაჭრის გზები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვსლიწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად,

**2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმები ცხადყოფს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმებში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ საკუთარ გამოცდილებას დაუკავშირონ. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ასევე, დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მიმართავენ გონებრივ იერიშის მეთოდს და ახალი თემის ახსნის დროს ააქტიურებენ წინარე ცოდნას.

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად,

**2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლეთა ინტერესებზე და გეგმავენ გააძლიერონ სწავლის სწავლებაზე აქცენტი, რაც მათი შეფასებით გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კათედრას უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება. მაგალითად: ბუნების და ხელოვნების საგნების ინტეგრირებული კომპლექსური დავალების შედეგად მოსწავლეებმა შექმნეს „წიგნი წყლის სამი მდგომარეობა".

გამომდინარე იქიდან, რომ პედაგოგები მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად,

**2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცნოდნის სამ კატეგორიაზე, რაც ნათლად იკვეთება სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში და დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

და პირობისეული ცოდნაც. გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდანაც იკვეთება, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ყოველთვის ითვალისწინებენ, სასწავლო პროცესის ორიენტირებულობას ცოდნის სამ კატეგორიაზე. ამისთვის კათედრების მიერ იქმნება თემატური მატრიცები, არჩევენ შესაბამის აქტივობებსა და რესურსებს, გეგმავენ პროექტებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან სამივე ტიპის ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. მაგალითად, ინგლისურ ენის V კლასის კურიკულუმში, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეს ევალება პრეზენტაციის მომზადება თემაზე: "სტუმრად ფავორიტ ადამიანთან". მოცემული კომპლექსური დავალება ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება როგორც სახლთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და მათი აღწერისთვის საჭირო ფუნქციური გრამატიკის ცოდნა, ასევე ამ ცოდნის გარკვეულ პირობებსა და კონტექსტში გამოყენება, კერძოდ უნდა აღწეროს წარმოსახვითი ცნობილი ადამიანის სახლი, იქ არსებული ნივთები და აქედან გამომდინარე თანატოლებს გააცნოს ამ ადამიანის პიროვნული თვისებები. ასევე, VI კლასის რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებს ავალებს წარმოადგინონ თავიანთი საყვარელი კერძის რეცეპტი, მისი ინგრედიენტები, ასევე დაასაბუთონ თუ რატომ მოწონთ და რით არის გამორჩეული მათი ფავორიტი საჭმელი. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას ადასტურებს ასევე ბუნებისმეტყველებაში განხორციელებული კომპლექსური დავალება „მოგზაურობა საქართველოს მთასა და ბარში".

განხილული მაგალითების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეებს სამივე კატეგორიის ცოდნის თანადროულად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებით საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

პროცესში ხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.
მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. მაგ: ინგლისური ენის კურიკულუმში გრამატიკული დროები თემატურად არის დაჯგუფებული (აწმყოს დროები ერთად, წარსულის ერთად და აშ), რაც უადვილებს მოსწავლეს ერთმანეთთან დააკავშიროს ნასწავლი ინფორმაცია. სასწავლო თემების გარდა, კურიკულუმში მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად: პოსტერი საყვარელი ცხოველის შესახებ; საყვარელი მულტფილმის გმირის დახატვა და წერილობით აღწერა; პრეზენტაცია ფავორიტ ადამიანთან სტუმრობის შესახებ; მოთხრობის შედგენა სახელწოდებით „ცნობილი ნახატის გაცოცხლება"; ანბანის წიგნის შექმნა; ილუსტრირებული პოსტერის დამზადება სახელწოდებით „ჩემი საყვარელი კერძი" და სხვა.
საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს ასევე დაწყებით საფეხურზე ტექნოლოგიების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები დაგეგმილია ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მაგალითად, ცხოვრების ყოველდღიური ციკლის, ალგორითმის შედგენა, პირობითი ნიშნების გამოყენება ყოველდღიურობაში. ინტერნეტში საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მოახდინონ მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრისას გამოყენება. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ

**2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის თვითშეფასება;
3. განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების აღწერა;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში დაიფარება: საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტ-მაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. კურიკულუმში მოცემული, კომპლექსური დავალების პირობები გულისხმობს საკვანძო შეკითხვებს, როგორც სწავლების მექანიზმებს. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე დაეხმარება სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის, პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის ადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება მასწავლებლებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ასაკის შესაფერისი საინტერესო კომპლექსური დავალებები. თემები წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის მიხედვით, მაგრამ III და IV კლასის კურიკულუმში დასაზუსტებელია თემები რამოდენიმე თემა საკითხებით არ არის გაწერილი კურიკულუმში) ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი მოცემული დავალებით, თუმცა ზოგჯერ დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში გაწერონ სტანდარტით სავალდებულო ყველა თემა, შესაბამისი საკითხებით და სამიზნე ცნების ქვეცნებებით (ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით).

სკოლის მიერ წარმოდგენილ ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ტექნოლოგიების ყველა სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, კომპიუტერის აგებულება, პროგრამული კოდი (ალგორითმი), მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი, ინტერნეტი, ინფორმაცია და ციფრული მოქალაქეობა, მაგრამ წარმოდგენილი არ არის კონტექსტ მაგალითები. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმებში ასახონ კონტექსტ-მაგალითებიც.

საერთო ჯამში, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შესაბამისად,

**2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები, უყალიბდებათ პოზიტიური ურთიერთობები, სწავლობენ გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. აღნიშნული აქტივობების საშუალებით კი შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების უზრუნველყოფა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, რომელიც სამიზნე ცნებების დამუშავებისთვის მოსწავლეს სთავაზობს ისეთ საგნობრივ კონტექსტს, რომლებიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. საგნობრივი კურიკულუმით გაწერილი კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, დაგეგმილი კომპლექსური დავალების პირობები შეესაბამება დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს, რაც მისი მხრიდან,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შემოთავაზებული კონტექსტებით დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. მაგალითად: IV კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში კომპლექსური დავალება "ჩემი საყვარელი მულტფილმის გმირი" მოსწავლეში იწვევს პოზიტიურ ასოციაციებს მისთვის საინტერესო ანიმაციურ პერსონაჟებთან დაკავშირებით. მსგავსი ტიპის საგნობრივი კონტექსტები და კომპლექსური ბუნების დავალებები, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. რაც თავის მხრივ მათ აძლევს საშუალებას გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.
ასევე უნდა აღინიშნოს დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლების მიერ გახორციელებული და დაგეგმილი სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გარემოს დაცვის მიმართულებით „დედამიწის დღე", რომლის საშუალებითაც მოსწავლეები გაერკვნენ როგორ დაცვან და იზრუნონ გარემოზე.
მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა და გეგმავენ სოციო-ემოციური სწავლების საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დახვეწას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, უზრუნველყოს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება.**2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. დაწყებით საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ (მეხუთე კლასის მეორე სემესტრი - მეექვსე კლასი), ისე განმავითარებელ შეფასებას (პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით). სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით. ასევე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.
მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე ისინი იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ქოუჩინგის პროცესში მათ შეიმუშავეს სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემებისთვის. მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება ემსახურება მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობას. სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებს კარგი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენების პრაქტიკაც სკოლაში აქვთ. პედაგოგები გეგმავენ, რომ დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ორიენტირებული არიან მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად,
**2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. კრიტერიუმები არის მკაფიო და გაზომავდი.
წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ფორმები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების შესწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეები თავადაც არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შემაჯამებელი სამუშაოს განხორციელების წინ ისინი მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც თავის მხრივ შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და სანდოობას უზრუნველყოფს.
შეფასების სისტემა, როგორც სწავლების მთავარი კომპონენტი მუდმივად იხვეწება და მუშავდება. აღნიშნული დასტურდება დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ
**2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, რომლის მიზანია უზრუნველყოს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

წინასწარგანსაზღვრული რისკფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები. ვერიფიკაციის პროცესი წარიმართება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვით. ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის. ვერიფიკაციის ინსტრუქციით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა, ასევე შეფასების შედეგებზე მოსწავლის ინფორმირება.

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად კი ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრებზე. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე ხორციელდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი. იმართება შიდასაკლასო გამოფენები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, რომლის საფუძველზეც ანალიზდება მოსწავლის მიღწევა და პროგრესი. წლის ბოლოს მოსწავლეები ფასდებიან წერილობითი შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აფასებს მოსწავლეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლევლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. ამავდროულად, სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით,

**2.2.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეთა წლიური შეფასებები ფიქსირდება ასევე პირად საქმეებში, რომელთა შენახვასაც სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების, მათ შორის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას 3 წლის ვადით. აღნიშნული გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“. შეფასების მტკიცებულებები შესაძლოა ასევე იყოს დაკვირვების ფურცლები, „ჩეკლისტები“, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს მასწავლებელს შედეგების ანალიზისათვის. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად,
**2.2.2.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
3. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია;
4. თვითშეფასების კითხვარი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. დაწყებით საფეხურზე საკმაოდ აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, რაც თავის მხრივ ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი, რასაც ხელს უწყობს პედაგოგებისა და დამრიგებლების საუბრები, სადამრიგებლო საათები. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება საგნებს შორის ინტეგრირებული პროექტები, სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები, რაც მოსწავლეებს რეალიზების საშუალებას აძლევს.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც თავისთავად უზრუნველყოფს აღნიშნული მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.
თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. დაწყებითი კლასების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე, რაც გარკვეულწილად ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებითა და ერთმანეთის დახმარებით გამოიხატება. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედკოლექტივსა და დირექციას შორის. თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა ხაზგასმულია სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაშიც.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, **2.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული სასწავლო თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. საგნობრივი პროგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შეესაბამება კონკრეტულ კლასს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, მოსწავლის ინტერესების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გათვალისწინებით, პედაგოგი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის.
დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ხდება იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება არა ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ ფუნქციური უნარებისა და საკვანძო იდეების სიღრმისეულ გააზრებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს.
მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ხაზგასასმელად, სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ აქტივობებში, რაც მათ ინტერესებზეა მორგებული. აღნიშნული დასტურდება სკოლის სოციალურ ქსელზე წარმოდგენილი ფოტო-ვიდეო მასალითაც.
მასწავლებლებთან ინტერვიუებსა და წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.
**2.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. გამოცდილების გაზიარება ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ყავთ მენტორი მასწავლებელი, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებს მენტორი მასწავლებლის სტატუსის შესაბამის ვალდებულებებს - დაეხმაროს თანამშრომლებს პროფესიულ ზრდაში. ის ასევე იყო მაძიებელი მასწავლებლის ტუტორი. სკოლაში ხდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ასევე კარგად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს საკითხით დაინტერესებული თანამშრომლებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებითი კლასების რამდენიმე მასწავლებელი ჩართულია USAID-ის საგანმანათლებლო პროგრამაში და ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს. ისინი მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ კოლეგებს და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის წარმართვის დროს. სასწავლო პროცესის თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებას ადასტურებს ასევე სკოლის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
რაც შეეხება მშობლებთან კომუნიკაციას, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ასევე, პედაგოგები მშობლებს უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს და ისმენენ მათგან უკუკავშირს. მოსწავლეებთან განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. გარდა ამისა, პედაგოგები მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტრდება, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **2.2.3.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მიზნად ისახავს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, მეგობრული, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო ატმოსფერო. უზრუნველყოს, ოპტიმალური პირობების შექმნა თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესის მიხედვით, სკოლა თავს ვალდებულად მიიჩნევს იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. აგერთე შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან. სკოლაში დამკვიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობლებს შორის, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატს შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.
გარდა ამისა, იკვეთება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრებზე მასწავლებლები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რჩევებისა და რეკომენდაციების სახით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.
სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ამსახველი მასალებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში ხშირად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ასევე, აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური განათლების მიმართულებით. აქტიურია ასევე სკოლის თვითმმართველობა,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და სხვადასხვა აქტივობებით. ჩანს თანამშრომლობითი კულტურა მშობლებთან, სხვადასხვა კლასებთან, სკოლებთან და ორგანიზაციებთან.
სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე ისიც, რომ დაწყებით საფეხურზე ბუნების მასწავლებლების მიერ სასწავლო საკითხების შერჩევა ხორციელდება მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით პედაგოგები იყენებენ მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის მეთოდებს.
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების თანახმად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად,
**2.2.3.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესი;
6. კომპლექსური დავალების ბარათები;
7. განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნაშრომები, ფოტოები);
8. სკოლის თვითშეფასება;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:
○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა  :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად); სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა. ამ ყველაფრის გათვალისწინება კი პედაგოგს საშუალებას მისცემს, მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია გამოკითხვის ჩატარება კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას საწყის ეტაპზე არჩეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მასწავლებლები აპირებენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებში.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. დაწყებით საფეხურზე არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი და „ხარისხის მართვის ჯგუფი“, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები აგროვებენ და ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო გამოცდილებას და წარმატებულ პრაქტიკას. არსებული გამოცდილების საფუძველზე ისინი საზღვრავენ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, ვადებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს.

წარდმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად,

**2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს.

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა და რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება ძლიერი და სუსტი მხარების გამოკვლევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ

**2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ოქმები;
3. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა;
4. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
6. პედაგოგებთან ინტერვიუები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება კომპლექსური დავალების შეფასება. საგნის მასწავლებლები

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს და შესაბამისი ფორმის მეშვეობით განიხილავენ მოსწავლის აკადემიური მოსწრებას. აღნიშნული დასტურდება მაგალითად, რუსული ენის მასწავლებლის მიერ შემუშავებული, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა დიაგნოსტირებისა და შედეგების ანალიზის ცხრილით. მოსწავლეების პროგრესზე დაკვირვების მიზნით, კათედრები ანალიზს უკეთებენ შემაჯამებელ დავალებებს, აღწერენ მოსწავლეთა შედეგებს და შეფასების სქემების გამოყენებით, გამოკვეთენ იმ საკითხებს, რომელთა დაძლევაც კლასს გაუჭირდა.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც სწავლის პროცესის ერთგვარი უკუკავშირია. ასევე, შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. რემედიაციის საშუალებით ისინი მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების და ინსტრუმენტების შემუშავებისა და სრულყოფის მიმართულებით. შესაბამისად,

**2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლის შეფასებისას პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნისთვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალების ანალიზი და დიაგნოსტიკური ტესტები.

შეფასება რომ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები და პრეზენტაციები. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი წარიმართება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მათ გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. სკოლაში სწავლობენ ქართველი, აზერბაიჯანელი და რუსი მოსწავლეები, რომელთა ძირითადი პრობლემაც ენობრივი ბარიერია. შესაბამისად, სასკოლო პროცესის შეფასებისას, სკოლა ითვალისწინებს ამ ფაქტორს.
გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. შესაბამისად, მოსწავლის შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლის სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტიდან და პედაგოგთა გამოკითხვით დგინდება, რომ სკოლაში ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, რომლის მიზანია სკოლის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, მოლოდინებისა და პრიორიტეტების გამოვლენა. ასევე სწავლების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას იმისათვის, რომ უკეთესად წარიმართოს სასწავლო პროცესი. მონაცემთა შეგროვებისათვის სკოლა იყენებს კითხვარებს, დაკვირვებას, ტესტირებას, გამოკითხვას, ფოკუს ჯგუფს, ინტერვიუს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას, გასასვლელს ბილეთს და ა.შ. რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:** 

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. სკოლა იკვლევს იმ ფაქტორებს, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებაზე ახდენს გავლენას. მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მეორე უცხო ენის მასწავლებელს ჩატარებული აქვს მშობელთა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა წერასა და სამეტყველო უნარებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევსა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძებნას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლის ინტეგრირება საკუთარ თემთან, რამდენადაც მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა ითვალისწინებს დროსა და სივრცეს და აღნიშნულის გათვალისწინებით ქმნის აქტივობებს სკოლის ბაზაზე არსებულ კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, სასპორტო დარბაზში და სკოლის ეზოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტუდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. შედეგების ცხრილის ფორმა (დიაგნოსტირება-რუსული);
6. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:** 

7. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
8. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე წინა წლის კურიკულუმის რევიზია და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სწორედ ამ პროცესის შედეგად გამოიკვეთება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის პარალელურად ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება, მათ შორის თუ რა პროცესები უწყობს ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორია მშობლებთან კომუნიკაცია. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს კი, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რეკომენდაციები თავის მხრივ უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის დანერგვის, პროცესის მონიტორინგსა და შეფასების გამოცდილება და ამავდროულად გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, **2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შექმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები, ასევე მიგნებები, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ 2023-2024 წლის კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მომავალშიც გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. მომდევნო წლისათვის დამატებით იქნება შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი, რაც ასევე უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ასახავდეს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგებს და შესაბამის ცვილებებს.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



შესაბამისად, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ **2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა  :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად, რამდენადაც, დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი დირექციისა და პედაგოგების ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მათი თანამონაწილეობა წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის მიზნით. სასწავლო

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის საინფორმაციო არხების საშუალებით. გარდა ამისა, ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას წარმოადგენს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც მასწავლევლები უგზავნიან და იღებენ მათგან უკუკავშირს.

კურიკულუმებს საგნობრივი კათედრების დონეზე გეგმავენ კონკრეტული მასწავლებლები. ისინი დანერგვის პროცესში ინიშნავენ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელლები კათედრისთვის ამზადებენ თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავენ კოლეგებთან ერთად. კათედრის თავმჯდომარეები აგროვებენ წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ და აწვდიან დირექციას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაზუსტდა მათი ერთობლივი მუშაობის ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიმართ მაღალი მზაობა, რაც აძლევთ საშუალებას კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს მასწავლებლების და მოსწავლეების ინტერესები.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ პროცესებში ჩართული არიან როგორც პედაგოგები და დირექცია, ისე მოსწავლე და მშობელი, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მათი მონაწილეობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში იძლევა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **შესაბამისად, 2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს კურიკულუმში ასახვის მიზნით. მოსწავლეთა ინტერესების კურიკულუმში ასახვის მიზნით მასწავლებელი, დანერგვის პროცესში ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი კათედრისთვის ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავს კოლეგებთან ერთად, ისმენს და ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის რეკომენდაციებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ კათედრებისა და დირექციის შეხედულებების კურიკულუმში ასახვას განაპირობებს.

პედაგოგების თქმით, სასწავლო წლის განამვლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, რის საფუძველზეც მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.

მასწავლებელთა მიერ სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას ადასტურებს მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. მაგალითად, საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა შეასრულეს კომპლექსური დავალება ოსტეოპოროზის შესახებ, რომელიც დაიგეგმა და შესრულდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მაგალითად, საბაზო საფეხურზე სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები. მათ შორის, სკოლის სოციალური გვერდზე გაზიარებული ვიდეო, სადაც ჩანს როგორ აქტიურად არის ჩართული მხიარულ სტარტებში სასკოლო საზოგადოება. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინება და ჩართულობა ჩანს ასევე სკოლის ერთწლიან გეგმაშიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და მისი რევიზიის განხორციელების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **შესაბამისად,**
**2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავება .

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობაც. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები სკოლას აწვდიან ინფორმაციას მათი შვილების შესახებ. მაგ: როგორ ართმევენ ისინი თავს დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულ იქნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა მოსწავლეზე დაკვირვებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები და მაგალითები შედარებისთვის.

კათედრების ფარგლებში, ყველა მასწავლებელი მონაწილეობს კურიკულუმის შექმნაში. ისინი ერთობლივად თანხმდებიან კურიკულუმში შესატან საკითხებზე, ქვესაკითხებზე, სამიზნე ცნებებზე, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და სასწავლო

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

რესურსებზე. არჩევენ დიაგნოსტირების ინსტრუმენტებს, თანხმდებიან განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და ასევე კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის მექანიზმებზე. დირექცია (დირექტორის მოადგილე და დირექტორი) აერთიანებს კათედრების მიერ მიწოდებულ მასალებს და რამდენადაც, კურიკულუმები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, **2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება ისეთი საკომუნიკაციო არხები, როგორებიცაა: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საინფორმაციო დაფა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან განხორციელდა კომპლექსური ტიპის დავალებების არსის გაცნობით მშობელთა კრებებზე, რაც ასახულია სადამრიგებლო პროგრამებში, ხოლო შემდეგ კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათების მათთან გაგზავნით.
2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დახვეწას და განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის ვებ. გვერდი ახლა იწყებს ფუნქციონირებას, სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაზიარების მექანიზმად აქტიურად იყენებს სკოლის მიერ შექმნილ გვერდსა და ჯგუფებს სოციალურ ქსელში, სადაც კარგად ჩანს საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში, ქვეყნდება მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შესაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ **2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. სკოლის თვითშეფასება;
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
5. შესრულებული კომპლექსური დავალება ოსტეოპოროზის შესახებ;
6. სკოლის თვითშეფასება;
7. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სასწავლო კურიკულუმები მიემართება სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებები) და საფეხურის მისაღწევ შედეგებს. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს, ითვალისწინებს საბაზო საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგ: სკოლა, მეგობრები, ყოველდღიური ცხოვრება, დღესასწაულები, ჯანმრთელობა, მოგზაურობა, ქალაქები, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ფილმები, მუსიკა, ჯანმრთელი კვება, მოზარდების პრობლემები, ურთიერთობა მშობლებთან, სკოლის გარემო, ბულინგი, მოდა, ტანსაცმელი, გარეგნობა, სპორტი, მოგზაურობა, პროფესიები, სამსახურები, ცნობილი ადამიანები, გარემოსდაცვითი პრობლემები: ბუნებრივი კატასტროფები, დაბინძურება, საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველები, ნარჩენების გადამუშავება, და სხვა). სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, მითითებულია ისეთი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის აგების ერთ-ერთ გზად განიხილავენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც გამოყენებულია შუალედურ მიზნებად, შეესაბამება საბაზო საფეხურის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას, როგორიცაა: (სტატია საყმაწვილო ენციკლოპედიისთვის ,, ჩემთვის საყვარელი ფრინველი", ბლოგპოსტი თემაზე „დისციპლინის საკითხები საქართველოსა და ინგლისის სკოლებში", როლური თამაში თემაზე "ყველაფერი ჩემ შესახებ", რუკის პრეზენტაცია ,,ჩემთვის იდეალური საცხოვრებელი გარემო"; პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის; კედლის გაზეთი: სხვადასხვა ქალაქების ღირსშესანიშნაობების შესახებ; სადღესასწაულო მისალოცი ბარათის დამზადება და სხვა.

კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლის პროცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე). კომპლექსური დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების გაწერისას თითოეულ თემას უკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტ მაგალითებს, რაც ეხმარებათ აღძრან მოსწავლეებში ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდსა და აქტივობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

გლობალურ ფუნქციურ უნარებზე ორიენტირება სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით არის გათვალისწინებული, რომელიც სკოლის მიზნებად მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული, თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების მქონე მოსწავლის აღზრდას მიიჩნევს.

საკუთრივ საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენების სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები დაყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. მაგალითად,



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



VII კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში, სასკოლო განათლების თემასთან დაკავშირებული კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ ბლოგპოსტის დაწერა, რომელშიც ერთმანეთს შეადარებენ დისციპლინის პრობლემებს საქართველოსა და ბრიტანეთის სკოლებში. მოცემული კომპლექსური დავალება ერთის მხრივ მიემართება უცხო ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს (ინსტიტუცია -სკოლა და სასკოლო საზოგადოება), მეორეს მხრივ კი ავითარებს ისეთ გლობალურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი უნარები, მოქალაქეობა და კომუნიკაცია. ასევე, რუსული ენის, VII კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობის მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა გაითამაშონ საკომუნიკაციო სიტუაცია. როლური თამაში ითვალისწინებს დიალოგის წარმართვას თანატოლის გაცნობის მიზნით. მოცემული კომპლექსური დავალება ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე (ზეპირმეტყველების ჟანრი -დიალოგი), ხელს უწყობს ემოციურ რეგულაციას და ავითარებს მოსწავლეებში ისეთ გლობალურ უნარებს როგორიცაა კომუნიკაცია, თანამშრომლობა და შემოქმედებითობა.

სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული ასევე სპორტის კათედრის მიერ შემუშავებული და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისად. მაგალითისათვის წარმოდგენილ იქნა ასევე მასალები ჩატარებული სპორტის კვირეულებთან, სხვადასხვა სპორტულ აქტივობებთან და ჯანსაღი ცხოვრების შესახებ პროექტებთან დაკავშირებით.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ და გამოიყენებენ დამატებით ლიტერატურას, ინტერნეტით მოძიებულ მასალებს და პროექტულ სწავლებას. ამ მხრივ მათ უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება, რომლიც დამადასტურებლადაც წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მაგალითად, საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესრულებული აქვთ კომპლექსური დავალება ენერგოეფექტურ სახლზე, თერმოიზოლაციაზე, სადეზინფექციო ხსნარების დამზადებაზე.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან ინტერვიუები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფუნქციური უნარებზე ორიენტირება მასწავლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შესაბამისად, **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმებში სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ამას ადასტურებს მაგალითად მეორე უცხო ენის (რუსული ენა) მასწავლებლის მიერ შექმნილი დიფერენცირებული დავალებები. წარმოდგენილ რესურსში განსხვავებული დავალებები არის გათვლილი მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებული მიდგომის სხვადასხვა მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, კომპლექსურ დავალებას ამარტივებენ და არგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მათ აძლევენ უფლებას, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას შეარჩიონ სასურველი ფორმა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხი რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლას საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშებით. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლას სსსმ მოსწავლეები ჩართული ჰყავს სპორტულ აქტივობებში. მათ მასწავლებელი აძლევს მოტივაციას და უქმნის კომფორტულ გარემოს.

რაც შეეხება საბაზო საფეხურზე ქართული ენის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ კურიკულუმს, აქ არ ჩანს დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. თუმცა, სკოლა გამოხატავს მზაობას დიფერენცირებული მიდგომები ასახოს სასკოლო კურიკულუმში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევენ მოსწავლეს, აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორივე ტიპის შეფასების ინსტრუმენტები. ისინი გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები თავად მოსწავლეებიც. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, საფეხურებისა და კლასების მიხედვით. აღნიშნული რუბრიკების უმეტესობა მორგებულია კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. მოცემულ რუბრიკებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწორად არის გათვალისწინებული კავშირები გრძელვადიან მიზნებს (უცხო ენის მაგალითზე - ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი), მკვიდრ წარმოდგენებს, სტანდარტის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის.
შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. აღნიშნული დასტურდება სასწავლო წლის ბოლოს კათედრების მიერ შედგენილი ანგარიშებით, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები და განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.
გარდა კათედრების ანგარიშებისა, წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინება იკვეთება უშუალოდ კურიკულუმებშიც, სადაც გაწერილი აქვთ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების გამოცდილება აქვთ. (სკოლა 2019 წლიდან არის ჩართული ახალი სკოლის მოდელში და კომპლექსური დავალებების განხორციელების საკმაო გამოცდილება აქვთ). მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე აკეთებენ განხორციელებული აქტივობების ანალიზს, მსჯელობენ რომელმა განხორციელებულმა აქტივობამ შეუწყო ხელი მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას და რომელმა არა. გამოცილების ანალიზს კი ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
4. კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წ);
6. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
7. დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები (რუსულში)
8. კათედრების ოქმები;
9. სკოლის თვითშეფასება;
10. მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

#### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. თუმცა, მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრები გეგმავენ შეარჩიონ, გადაამუშაონ და კურიკულუმში ჩააშენონ მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.

საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. მაგალითისათვის მათ წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები(უცნაური კამათელი, განძის რუკა, ფერადი ბარათები, ხის სიმაღლის გაზომვა, დაინფიცირება და ჯანმრთელობის აღდგენა), ოლიმპიადების და მათემატიკური ღონისძიებების ჩამონათვალი: კინგსი; ევერესტი; ტვინების ბრძოლა; რა, სად, როდის? ვიქტორინა- სადაც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა. აღნიშნული აქტივობები მოსწავლეებს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს.

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები უცხოურ ენებში. მაგალითისათვის წარმოდგენილია VIII კლასის მოსწავლეების მიერ დამზადებული კედლის გაზეთების ფოტოები თემაზე „საქართველოს სასკოლო განათლება“, VII კლასის მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერები სხვადასხვა სუპერგმირის შესახებ. ასევე, მეორე უცხო ენაში, ხელოვნებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საგნებთან ინტეგრირებით სკოლას განხორციელებული აქვს კომპლექსური ბუნების პროექტი სახელწოდებით „ყველიერი“, რომელშიც მონაწილეობდნენ VII-IX კლასის მოსწავლეები. როგორც პროექტთან დაკავშირებული პრეზენტაციის დოკუმენტიდან ჩანს, მოსწავლეებმა შექმნეს რეცეპტების წიგნი,

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაამზადეს პოსტერები და წარმოადგინეს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყანაში ამ დღესასწაულის („ყველიერი“) აღნიშვნასთან დაკავშირებით არსებული ტრადიციების შესახებ. გარდა ამისა, ხელოვნების მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებმა შექმნეს დღესასწაულთან დაკავშირებული სიმბოლიკები.
სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარები, რასაც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების პირობები. თუმცა, გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, საბაზო საფეხურზე იგეგმება საბუნებისმეტყველო თემაზე პროექტები თუ სხვა ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, მათ აქტიურ ჩართულობას და ცოდნის გამოყენებას. უნდა აღინიშნოს ასევე კათედრის გამოცდილება ამ მიმართულებით. მაგალითისათვის: ჯანსაღი ცხოვრების წესის კვირეულის ფარგლებში სკოლის ბაზაზე არსებული ეკოკლუბის ინიციატივით შეგროვდა მაკულატურა. მიღებული ფულადი სარგებლით სკოლამ შეიძინა მარადმწვანე ნერგი, რომელიც დაირგო სკოლის ეზოში.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვსლიწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმები ცხადყოფს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმებში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ საკუთარ გამოცდილებას დაუკავშირონ. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ასევე, საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მიმართავენ გონებრივ იერიშის მეთოდს და ახალი თემის ახსნის დროს ააქტიურებენ წინარე ცოდნას.
საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის საბაზო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ- ჩვევების გამომუშავებას.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლეთა ინტერესებზე და გეგმავენ გააძლიერონ სწავლის სწავლებაზე აქცენტი, რაც მათი შეფასებით გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კათედრას უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება. მაგალითად: ფიზიკის პედაგოგმა დაგეგმა და განახორციელა ღონისძიება ,,ინერციის იმიტირებული სასამართლო“ VII კლასში.

გამომდინარე იქიდან, რომ პედაგოგები მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად, **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც ნათლად იკვეთება სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში და დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდანაც იკვეთება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ყოველთვის ითვალისწინებენ, სასწავლო პროცესის ორიენტირებულობას ცოდნის სამ კატეგორიაზე. ამისთვის კათედრების მიერ იქმნება თემატური მატრიცები, არჩევენ შესაბამის აქტივობებსა და რესურსებს, გეგმავენ პროექტებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან სამივე ტიპის ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. მაგალითად, უცხოური ენების კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი პროექტის „ყველიერი" პრეზენტაციაში ცალკე არის გამოყოფილი და ნაჩვენებია, თუ რას მოიაზრებს სკოლა დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის კატეგორიებში. ასევე აღინიშნოს საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება „წყალი სიცოცხლის წყარო", სადაც მოსწავლემ საინფორმაციო ბუკლეტის სახით უნდა წარმოადგინოს წყლის თვისებების, ანომალიის, დაბინძურების მნიშვნელობის წარმოჩენა ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და განხილული მაგალითების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეებს სამივე კატეგორიის ცოდნის თანადროულად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში ხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები, რომელთა გააზრებაც კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ინტერვიურებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს: კომპლექსური ბუნების დავალებებს, სტატიას, ბლოგპოსტს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციას, პოსტერს, კედლის გაზეთს, სადღესასწაულო მისალოც ბარათებს და სასკოლო პროექტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მოახდინონ მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრისას გამოყენება. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის თვითშეფასება;
3. ინგლისურ ენაში განხორციელებული კომპლექსური დავალების ნაშრომები;
4. რუსულ ენაში განხორციელებული პროექტის „ყველიერი“ პრეზენტაციის დოკუმენტი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები საფუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც თავის მხრივ იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ასაკის შესაფერისი საინტერესო კომპლექსური დავალებები,თემები წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის მიხედვით, დოკუმენტებზე დაყრდნობით და ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ. ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი მოცემული დავალებით, თუმცარიგ შემთხვევებში დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში დააზუსტონ თემის შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით.

საერთო ჯამში, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შესაბამისად, **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები, უყალიბდებათ პოზიტიური ურთიერთობები, სწავლობენ გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. აღნიშნული აქტივობების საშუალებით კი შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების უზრუნველყოფა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, რომელიც სამიზნე ცნებების დამუშავებისთვის მოსწავლეს სთავაზობს ისეთ საგნობრივ კონტექსტს, რომლებიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. საბაზო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგ: სკოლა, მეგობრები, ყოველდღიური ცხოვრება, დღესასწაულები, ჯანმრთელობა, მოგზაურობა, ქალაქები, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ფილმები, მუსიკა, ჯანმრთელი კვება, მოზარდების პრობლემები, ურთიერთობა მშობლებთან, სკოლის გარემო, ბულინგი, მოდა, ტანსაცმელი, გარეგნობა, სპორტი, მოგზაურობა, პროფესიები, სამსახურები, ცნობილი ადამიანები, გარემოსდაცვითი პრობლემები: ბუნებრივი კატასტროფები, დაბინძურება, საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველები, ნარჩენების გადამუშავება, და სხვა), რაც მოსწავლის მხრიდან, შემოთავაზებული შინაარსებით დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. მაგალითად: გარემოსდაცვითი პრობლემები, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ბულინგის საწინააღმდეგო კამპანია და სხვა, ეს ის თემებია, რომლებიც იმგვარად ეხმარება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რომ ენობრივი კომპეტენციის შეძენასთან ერთად, მის პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ასევე მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები და განხორციელებული პროექტები, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან.

ასევე უნდა აღინიშნოს საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლების მიერ გახორციელებული და დაგეგმილი სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო გარემოს დაცვის მიმართულებით „დედამიწის დღე", რომლის საშუალებითაც მოსწავლეები გაერკვნენ როგორ დაცვან და იზრუნონ გარემოზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა და გეგმავენ სოციო-ემოციური სწავლების საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დახვეწას.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, უზრუნველყოს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით. ასევე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე ისინი იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ქოუჩინგის პროცესში მათ შეიმუშავეს სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემებისთვის. მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება ემსახურება მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობას. სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებს კარგი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენების პრაქტიკაც სკოლაში აქვთ. პედაგოგები გეგმავენ, რომ დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ორიენტირებული არიან მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. კრიტერიუმები არის მკაფიო და გაზომავდი.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ფორმები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების შესწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან და

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეები თავადაც არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შემაჯამებელი სამუშაოს განხორციელების წინ ისინი მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც თავის მხრივ შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და სანდოობას უზრუნველყოფს.

შეფასების სისტემა, როგორც სწავლების მთავარი კომპონენტი მუდმივად იხვეწება და მუშავდება. აღნიშნული დასტურდება საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, რომლის მიზანია უზრუნველყოს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია წინასწარგანსაზღვრული რისკფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები. ვერიფიკაციის პროცესი წარიმართება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვით. ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის. ვერიფიკაციის ინსტრუქციით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა, ასევე შეფასების შედეგებზე მოსწავლის ინფორმირება.

საბაზო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად კი ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრებზე. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე ხორციელდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი. იმართება შიდასაკლასო გამოფენები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, რომლის საფუძველზეც ანალიზდება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მოსწავლის მიღწევა და პროგრესი. წლის ბოლოს მოსწავლეები ფასდებიან წერილობითი შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აფასებს მოსწავლეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლევლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. ამავდროულად, სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, **2.2.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეთა წლიური შეფასებები ფიქსირდება ასევე პირად საქმეებში, რომელთა შენახვასაც სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების, მათ შორის შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას 3 წლის ვადით. აღნიშნული გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“. შეფასების მტკიცებულებები შესაძლოა ასევე იყოს დაკვირვების ფურცლები, „ჩეკლისტები“, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს მასწავლებელს შედეგების ანალიზისათვის. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად, **2.2.2.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



3. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია;
4. თვითშეფასების კითხვარი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. საბაზო საფეხურზე საკმაოდ აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, რაც თავის მხრივ ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი, რასაც ხელს უწყობს პედაგოგებისა და დამრიგებლების საუბრები, სადამრიგებლო საათები. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება საგნებს შორის ინტეგრირებული პროექტები, სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები, რაც მოსწავლეებს რეალიზების საშუალებას აძლევს.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც თავისთავად უზრუნველყოფს აღნიშნული მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.
თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე, რაც გარკვეულწილად ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებითა და

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ერთმანეთის დახმარებით გამოიხატება. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედკოლექტივსა და დირექციას შორის. თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა ხაზგასმულია სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაშიც.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, **2.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული სასწავლო თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. საგნობრივი პროგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შეესაბამება კონკრეტულ კლასს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, პედაგოგი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის.
დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ხდება იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება არა ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ ფუნქციური უნარებისა და საკვანძო იდეების სიღრმისეულ გააზრებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს.
მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ხაზგასასმელად, სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ აქტივობებში, რაც მათ ინტერესებზეა მორგებული. აღნიშნული დასტურდება სკოლის სოციალურ ქსელზე წარმოდგენილი ფოტო-ვიდეო მასალითაც.
მასწავლებლებთან ინტერვიუებსა და წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **2.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. გამოცდილების გაზიარება ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. სკოლაში ხდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ასევე კარგად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს საკითხით დაინტერესებული თანამშრომლებისთვის. ისინი მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ კოლეგებს და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის წარმართვის დროს. სასწავლო პროცესის თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

რაც შეეხება მშობლებთან კომუნიკაციას, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ასევე, პედაგოგები მშობლებს უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს და ისმენენ მათგან უკუკავშირს. მოსწავლეებთან განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. გარდა ამისა, პედაგოგები მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტრდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **2.2.3.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მიზნად ისახავს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, მეგობრული, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო ატმოსფერო. უზრუნველყოს, ოპტიმალური პირობების შექმნა თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესის მიხედვით, სკოლა თავს ვალდებულად მიიჩნევს იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. აგერთე შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან. სკოლაში დამკვიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობლებს შორის, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატს შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გარდა ამისა, იკვეთება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრებზე მასწავლებლები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რჩევებისა და რეკომენდაციების სახით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ამსახველი მასალებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში ხშირად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ასევე, აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური განათლების მიმართულებით. აქტიურია ასევე სკოლის თვითმმართველობა, რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და სხვადასხვა აქტივობებით. ჩანს თანამშრომლობითი კულტურა მშობლებთან, სხვადასხვა კლასებთან, სკოლებთან და ორგანიზაციებთან.

სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე ისიც, რომ საბაზო საფეხურზე ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ სასწავლო საკითხების შერჩევა ხორციელდება მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით პედაგოგები იყენებენ მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის მეთოდებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების თანახმად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად, **2.2.3.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესი;
6. კომპლექსური დავალების ბარათები;
7. განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნაშრომები, ფოტოები);

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

8. სკოლის თვითშეფასება;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად); სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა. ამ ყველაფრის გათვალისწინება კი პედაგოგს საშუალებას მისცემს, მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია გამოკითხვის ჩატარება კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას საწყის ეტაპზე არჩეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მასწავლებლები აპირებენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. საბაზო საფეხურზე არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი და „ხარისხის მართვის ჯგუფი", რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები აგროვებენ და ერთმანეთს უზიარებენ  საუკეთესო გამოცდილებას და წარმატებულ პრაქტიკას. არსებული გამოცდილების საფუძველზე ისინი საზღვრავენ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, ვადებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს.

წარდმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს.

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა და რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება ძლიერი და სუსტი მხარების გამოკვლევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ოქმები;
3. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა;
4. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
6. პედაგოგებთან ინტერვიუები.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მიზანია როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება კომპლექსური დავალების შეფასება. საგნის მასწავლებლები ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს და შესაბამისი ფორმის მეშვეობით განიხილავენ მოსწავლის აკადემიური მოსწრებას. აღნიშნული დასტურდება მაგალითად, რუსული ენის მასწავლებლის მიერ შემუშავებული, საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა დიაგნოსტირებისა და შედეგების ანალიზის ცხრილით. მოსწავლეების პროგრესზე დაკვირვების მიზნით, კათედრები ანალიზს უკეთებენ შემაჯამებელ დავალებებს, აღწერენ მოსწავლეთა შედეგებს და შეფასების სქემების გამოყენებით, გამოკვეთენ იმ საკითხებს, რომელთა დაძლევაც კლასს გაუჭირდა.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც სწავლის პროცესის ერთგვარი უკუკავშირია. ასევე, შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. რემედიაციის საშუალებით ისინი მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა აქტიურად მუშაობს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების და ინსტრუმენტების შემუშავებისა და სრულყოფის მიმართულებით. შესაბამისად, **2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლის შეფასებისას პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნისთვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალების ანალიზი და დიაგნოსტიკური ტესტები.

შეფასება რომ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები და პრეზენტაციები. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი წარიმართება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მათ გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. სკოლაში სწავლობენ ქართველი, აზერბაიჯანელი და რუსი მოსწავლეები, რომელთა ძირითადი პრობლემაც ენობრივი ბარიერია. შესაბამისად, სასკოლო პროცესის შეფასებისას, სკოლა ითვალისწინებს ამ ფაქტორს.

გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. შესაბამისად, მოსწავლის შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლის სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტიდან და პედაგოგთა გამოკითხვით დგინდება, რომ სკოლაში ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, რომლის მიზანია სკოლის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, მოლოდინებისა და პრიორიტეტების გამოვლენა. ასევე სწავლების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას იმისათვის, რომ უკეთესად წარიმართოს სასწავლო პროცესი. მონაცემთა შეგროვებისათვის სკოლა იყენებს კითხვარებს, დაკვირვებას, ტესტირებას, გამოკითხვას, ფოკუს ჯგუფს, ინტერვიუს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას, გასასვლელს ბილეთს და ა.შ. რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. სკოლა იკვლევს იმ ფაქტორებს, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებაზე ახდენს გავლენას. მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მეორე უცხო ენის მასწავლებელს ჩატარებული აქვს მშობელთა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა წერასა და სამეტყველო უნარებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევსა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძებნას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლის ინტეგრირება საკუთარ თემთან, რამდენადაც მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა ითვალისწინებს დროსა და სივრცეს და აღნიშნულის გათვალისწინებით ქმნის აქტივობებს სკოლის ბაზაზე არსებულ კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორებში, სასპორტო დარბაზში და სკოლის ეზოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტუდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. შედეგების ცხრილის ფორმა (დიაგნოსტირება-რუსული);
6. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
7. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
8. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე წინა წლის კურიკულუმის რევიზია და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სწორედ ამ პროცესის შედეგად გამოიკვეთება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის პარალელურად ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება, მათ შორის თუ რა პროცესები უწყობს ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორია მშობლებთან კომუნიკაცია. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს კი, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რეკომენდაციები თავის მხრივ უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის დანერგვის, პროცესის მონიტორინგსა და შეფასების გამოცდილება და ამავდროულად გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, **2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შექმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები, ასევე მიგნებები, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ 2023-2024 წლის კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მომავალშიც გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. მომდევნო წლისათვის დამატებით იქნება შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი, რაც ასევე უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ასახავდეს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგებს და შესაბამის ცვილებებს.
შესაბამისად, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ **2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა  :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



**2. სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი კარგი ინდიკატორია სკოლის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმის დანიშნულებისა და ფუნქციების გააზრების ხარისხის შესაფასებლად, რამდენადაც, დოკუმენტში მკაფოდ ჩანს კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების მეთოდოლოგია. ჩაშლილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია. აღწერილია, თუ რა პრინციპებს ეფუძნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი დირექციისა და პედაგოგების ფუნქცია. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მათი თანამონაწილეობა წარმოადგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის მიზნით. სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის განხორციელება ხდება სკოლის საინფორმაციო არხების საშუალებით. გარდა ამისა, ვიზიტის დროს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას წარმოადგენს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც მასწავლევლები უგზავნიან და იღებენ მათგან უკუკავშირს.
კურიკულუმებს საგნობრივი კათედრების დონეზე გეგმავენ კონკრეტული მასწავლებლები. ისინი დანერგვის პროცესში ინიშნავენ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელლები კათედრისთვის ამზადებენ თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავენ კოლეგებთან ერთად. კათედრის თავმჯდომარეები აგროვებენ წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ და აწვდიან დირექციას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაზუსტდა მათი ერთობლივი მუშაობის ფორმა, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიმართ მაღალი მზაობა, რაც აძლევთ საშუალებას კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს მასწავლებლების და მოსწავლეების ინტერესები.
გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ პროცესებში ჩართული არიან როგორც პედაგოგები და დირექცია, ისე მოსწავლე და მშობელი, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მათი მონაწილეობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში იძლევა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **2.1.1.1 შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს კურიკულუმში ასახვის მიზნით. მოსწავლეთა ინტერესების კურიკულუმში ასახვის მიზნით მასწავლებელი, დანერგვის პროცესში ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი კათედრისთვის ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც განიხილავს კოლეგებთან ერთად, ისმენს და ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის რეკომენდაციებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ კათედრებისა და დირექციის შეხედულებების კურიკულუმში ასახვას განაპირობებს.
პედაგოგების თქმით, სასწავლო წლის განამვლობაში ხდება მოსწავლეთა ინტერესებზე დაკვირვება, რის საფუძველზეც მასწავლებელი ქმნის კურიკულუმის სამუშაო ვერსიას, რომლის დაზუსტება და გაუმჯობესება ხდება სასკოლო კათედრების სხდომებზე, ხოლო

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

კურიკულუმის შემუშავებასა და მოდიფიცირებაში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექციის წევრები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევენ მეთოდურ რეკომენდაციებს.

მასწავლებელთა მიერ სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას ადასტურებს მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები და განხორციელებული კომპლექსური დავალებები. მაგალითად, საშუალო საფეხურზე მოსწავლეებმა შეასრულეს კომპლექსური დავალება ბიოლოგიის პედაგოგმა სპორტის პედაგოგთან და სკოლის ექთანთან ერთად გაწერა და განახორციელა პროექტი X კლასში „ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტი", რომელიც დაიგეგმა და შესრულდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. აქვე, სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მშობლების ან თემის ინტერესები.

საშუალო საფეხურზე ესთეტიკური საგნები პროექტული სწავლებით არიან წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. წარმოდგენილია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტოვობები. მასწავლებლებს აქვთ მოლოდინი, რომ პროექტული სწავლების ფარგლებში პროექტების განხორციელება სასწავლო პროცესს მეტად საინტეროს გახდის მოსწავლეთათვის.

გარდა ამისა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მაგალითად, საშუალო საფეხურზე სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები. მათ შორის, სკოლის სოციალური გვერდზე გაზიარებული ფოტო და ვიდეო, სადაც ჩანს როგორ აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში სასკოლო საზოგადოება. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინება და ჩართულობა ჩანს ასევე სკოლის ერთწლიან გეგმაშიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებისა და მისი რევიზიის განხორციელების დროს, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. **შესაბამისად,**
**2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმების შემუშავებისას გააძლიეროს თემის ინტერესებზე ორიენტირებულიკომპლექსური დავალებების შემუშავება .

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობაც. სკოლის თვითშეფასების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები სკოლას აწვდიან ინფორმაციას მათი შვილების შესახებ. მაგ: როგორ ართმევენ ისინი თავს დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულ იქნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა მოსწავლეზე დაკვირვებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები და მაგალითები შედარებისთვის.

კათედრების ფარგლებში, ყველა მასწავლებელი მონაწილეობს კურიკულუმის შექმნაში. ისინი ერთობლივად თანხმდებიან კურიკულუმში შესატან საკითხებზე, ქვესაკითხებზე, სამიზნე ცნებებზე, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და სასწავლო რესურსებზე. არჩევენ დიაგნოსტირების ინსტრუმენტებს, თანხმდებიან განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და ასევე კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის მექანიზმებზე. დირექცია (დირექტორის მოადგილე და დირექტორი) აერთიანებს კათედრების მიერ მიწოდებულ მასალებს და რამდენადაც, კურიკულუმები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, **2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. გარდა ამისა, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება ისეთი საკომუნიკაციო არხები, როგორებიცაა: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საინფორმაციო დაფა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმების გაზიარება მშობლებთან განხორციელდა კომპლექსური ტიპის დავალებების არსის გაცნობით მშობელთა კრებებზე, რაც ასახულია სადამრიგებლო პროგრამებში, ხოლო შემდეგ კომპლექსური ტიპის დავალებების ბარათების მათთან გაგზავნით.

2022-2023 წელს დაინერგა ესთეტიკური საგნების პროექტული სწავლება საშუალო საფეხურზე. კათედრა გეგმავს, რომ პროექტული სწავლების ფორმატში განხორციელებული პროექტები სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით განათავსოს ვებ-გვერდზე და ხელმისწავდომი გახასოს ის სასკოლო საზოგადოებისთვის.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დახვეწას და განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის ვებ. გვერდი ახლა იწყებს ფუნქციონირებას, სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაზიარების მექანიზმად აქტიურად იყენებს სკოლის მიერ შექმნილ გვერდსა და ჯგუფებს სოციალურ ქსელში, სადაც კარგად ჩანს საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში, ქვეყნდება მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შესაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ **2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. სკოლის თვითშეფასება;
4. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
5. შესრულებული კომპლექსური დავალება ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტი“
6. სკოლის თვითშეფასება;
7. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სასწავლო კურიკულუმები მიემართება სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებები) და საფეხურის მისაღწევ შედეგებს. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს, ითვალისწინებს საშუალო საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები თუ საკვანძო შეკითხვები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობების გააქტიურებასა და გამოვლენა/განვითარებას. აღნიშნული დავალების ფარგლებში, მოსწავლეები შექმნიან გარკვეულ პროდუქტს (მაგ: აღწერითი ტექსტის შექმნა, მოთხრობის შედგენა, პრეზენტაცია).

სავალდებულო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში, XII კლასში გაწერილი არ არის არცერთი კომპლექსური დავალება. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, XII კლასის კურიკულუმში გაწეროს კომპლექსური ტიპის დავალება.

კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ სწავლის პროცესზე, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე). კომპლექსური დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების გაწერისას თითოეულ თემას უკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტ მაგალითებს, რაც ეხმარებათ აღძრან მოსწავლეებში ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდსა და აქტივობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

გლობალურ ფუნქციურ უნარებზე ორიენტირება სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით არის გათვალისწინებული, რომელიც სკოლის მიზნებად მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული, თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების მქონე მოსწავლის აღზრდას მიიჩნევს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

საკუთრივ საშუალო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენების სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები დაყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

ესთეტიკური კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რესურსები, პროექტული დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებებისა და შედეგების მიღწევისკენ. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან პორექტული სწავლება მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ გააქტიურებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული ასევე სპორტის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისად. მაგალითისათვის წარმოდგენილ იქნა ასევე მასალები ჩატარებული სპორტის კვირეულებთან, სხვადასხვა სპორტულ აქტივობებთან და ჯანსაღი ცხოვრების შესახებ პროექტებთან დაკავშირებით.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ და გამოიყენებენ დამატებით ლიტერატურას, ინტერნეტით მოძიებულ მასალებს და პროექტულ სწავლებას. ამ მხრივ მათ უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება, რომლიც დამადასტურებლადაც წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. მაგალითად, საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესრულებული აქვთ კომპლექსური დავალება ქიმიასა და ფიზიკაში - ელექტრული დენი სითხეებში და ასევე, ფიზიკის და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილი - წრფივი განტოლებები.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები და მასწავლებლებთან ინტერვიუები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ფუნქციური უნარებზე ორიენტირება მასწავლებელთა მხრიდან აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შესაბამისად, **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმებში

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
ამას ადასტურებს მაგალითად მეორე უცხო ენის (რუსული ენა) მასწავლებლის მიერ შექმნილი დიფერენცირებული დავალებები. წარმოდგენილ რესურსში განსხვავებული დავალებები არის გათვლილი მაღალი, საშუალო და დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის.
გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებული მიდგომის სხვადასხვა მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, კომპლექსურ დავალებას ამარტივებენ და არგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მათ აძლევენ უფლებას, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას შეარჩიონ სასურველი ფორმა.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხი რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავების გამოცდილება. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.
რაც შეეხება საშუალო საფეხურზე ქართული ენის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ კურიკულუმს, აქ არ ჩანს დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. თუმცა, სკოლა გამოხატავს მზაობას დიფერენცირებული მიდგომები ასახოს სასკოლო კურიკულუმში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევენ მოსწავლეს, აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს. სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორივე ტიპის შეფასების ინსტრუმენტები. ისინი გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები თავად მოსწავლეებიც. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინიქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას. შესაფასებელი აქტივობები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, საფეხურებისა და კლასების მიხედვით. აღნიშნული რუბრიკების უმეტესობა მორგებულია კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. მოცემულ რუბრიკებში სწორად არის გათვალისწინებული კავშირები გრძელვადიან მიზნებს (უცხო ენის მაგალითზე - ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი), მკვიდრ წარმოდგენებს, სტანდარტის შედეგებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის.

საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც კარგად არის აღწერილი თუ როგორ ხდება მოსწავლეების შეფასება. რუბრიკები გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე. თუმცა, სკოლას დამატებით მიეცა რჩევა, რომ შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ თემების მიხედვით.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. აღნიშნული დასტურდება სასწავლო წლის ბოლოს კათედრების მიერ შედგენილი ანგარიშებით, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები და განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

გარდა კათედრების ანგარიშებისა, წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინება იკვეთება უშუალოდ კურიკულუმებშიც, სადაც გაწერილი აქვთ ის კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების გამოცდილება აქვთ. (სკოლა 2019 წლიდან არის ჩართული ახალი სკოლის მოდელში და კომპლექსური დავალებების განხორციელების საკმაო გამოცდილება აქვთ). მასწავლებლებმა ასევე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე აკეთებენ განხორციელებული აქტივობების ანალიზს, მსჯელობენ რომელმა განხორციელებულმა აქტივობამ შეუწყო ხელი მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას და რომელმა არა. გამოცილების ანალიზს კი ითვალისწინებენ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
3. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა;
4. კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წ);
6. დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები (რუსულში);
7. კათედრების ოქმები;
8. სკოლის თვითშეფასება;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

**2.2კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. თუმცა, მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრები გეგმავენ შეარჩიონ, გადაამუშაონ და კურიკულუმში ჩააშენონ მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.

საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. მაგალითისათვის მათ წარმოადგინეს კომპლექსური დავალებები (ფინანსური მათემატიკა, ადამიანის ფიზიკური მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, ოპტიმიზაციის ამოცანები),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ოლიმპიადების და მათემატიკური ღონისძიებების ჩამონათვალი: კინგსი; ევერესტი; ტვინების ბრძოლა; რა, სად, როდის? ვიქტორინა- სადაც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა. აღნიშნული აქტივობები მოსწავლეებს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს.

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები უცხოურ ენებში. დავალების პირობები მოსწავლეს ავალდებულებს შექმნას გარკვეული პროდუქტი, როგორიცაა, მაგალითად: აღწერითი ტექსტის შექმნა, მოთხრობის შედგენა, პრეზენტაცია და სხვა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარები, რასაც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების პირობები. თუმცა, გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, საშუალო საფეხურზე იგეგმება საბუნებისმეტყველო თემაზე პროექტები თუ სხვა ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, მათ აქტიურ ჩართულობას და ცოდნის გამოყენებას. უნდა აღინიშნოს ასევე კათედრის გამოცდილება ამ მიმართულებით. ბიოლოგიის პედაგოგმა X კლასის მოსწავლეები ჩართო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციაში ,,იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ თემით ,,სწორი კვება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვსლიწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმები ცხადყოფს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმებში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ საკუთარ გამოცდილებას დაუკავშირონ. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ასევე, საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მიმართავენ გონებრივ იერიშის მეთოდს და ახალი თემის ახსნის დროსააქტიურებენ წინარე ცოდნას.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესაბამისად, **2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის საშუალო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ- ჩვევების გამომუშავებას.

სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლეთა ინტერესებზე და გეგმავენ გააძლიერონ სწავლის სწავლებაზე აქცენტი, რაც მათი შეფასებით გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კათედრას უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება. მაგალითად: 21 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი ,,გავუფრთხილდეთ დედამიწას“.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გამომდინარე იქიდან, რომ პედაგოგები მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად, **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცნოდნის სამ კატეგორიაზე, რაც ნათლად იკვეთება სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში და დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენონ კომპლექსური დავალებები, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდანაც იკვეთება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ყოველთვის ითვალისწინებენ, სასწავლო პროცესის ორიენტირებულობას ცოდნის სამ კატეგორიაზე. ამისთვის კათედრების მიერ იქმნება თემატური მატრიცები, არჩევენ შესაბამის აქტივობებსა და რესურსებს, გეგმავენ პროექტებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს. ეს პროცესი კი თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები დაეუფლებიან სამივე ტიპის ცოდნას, შეეძლებათ მისი რეალიზება და რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. მაგალითად, საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდენილ იქნა კომპლექსური დავალება - „ქეისი - ელექტროსკოპი", სადაც მოსწავლემ უნდა შექმნას ელექტროსკოპის მოდელი და მისი საშუალებით დამუხტვა-განმუხტვის პროცესის შესწავლა, ამ პროცესის თვისობრივი და რაოდენობრივი პარამეტრებით დახასიათება და პოსტერის საშუალებით წარმოჩენა.

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და განხილული მაგალითების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეებს სამივე კატეგორიის ცოდნის თანადროულად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში ხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები, რომელთა გააზრებაც კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური ბუნების დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ინტერვიურებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს: კომპლექსური ბუნების დავალებებს, სტატიას, ბლოგპოსტს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციას, პოსტერს, კედლის გაზეთს, სადღესასწაულო მისალოც ბარათებს და სასკოლო პროექტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში გაწერილი კონტექსტ-მაგალითები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მოახდინონ მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრისას გამოყენება. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის თვითშეფასება;
3. უცხო ენების კათედრაზე განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებები;
4. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

### 2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები საფუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც თავის მხრივ იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ასაკის შესაფერისი საინტერესო კომპლექსური დავალებები,თემები წარმოდგენილი აქვთ სტანდარტის მიხედვით, დოკუმენტებზე დაყრდნობით და ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ. ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი მოცემული დავალებით, თუმცარიგ შემთხვევებში დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში დააზუსტონ თემის შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები ცნებათა იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნობით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

საერთო ჯამში, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შესაბამისად, **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები, უყალიბდებათ პოზიტიური ურთიერთობები, სწავლობენ გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. აღნიშნული აქტივობების საშუალებით კი შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების უზრუნველყოფა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენების კათედრის მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, რომელიც სამიზნე ცნებების დამუშავებისთვის მოსწავლეს სთავაზობს ისეთ საგნობრივ კონტექსტს, რომლებიც მის ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. საშუალო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები საშუალო საფეხურის, უცხოური ენების, საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია, მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული, სასწავლო კონტექსტები (სასკოლო განათლება; პროფესიები; ცვალებადი სამყარო - ტექნოლოგიები; რეკლამების ზეგავლენა ჩვენს ცხოვრებაზე; მოგზაურობა; მედიის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე; პიროვნული თვისებები, ურთიერთობები, მოდა, ტანსაცმელი; ჯანრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია; მავნე ჩვევები და დამოკიდებულებები; მუსიკა და ტრადიციები; მოვუფრთხილდეთ ბუნებრივ გარემოს; ეკოლოგიის პრობლემები; ადამიანები და ცხოველები; მიუსაფარი ბავშვები და სხვა), რაც მოსწავლის მხრიდან, შემოთავაზებული შინაარსებით დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. მაგ: გარემოსდაცვითი პრობლემები, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ურთიერთობების მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, მიუსაფარი ბავშვების პრობლემები და სხვა. ეს ის თემებია, რომლებიც იმგვარად ეხმარება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რომ ენობრივი კომპეტენციის შეძენასთან ერთად, მის პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, უვითარებს მას ემპათიისა და სხვა კულტურის მიმართ პატივისცემის განცდას.

მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას ემსახურება ასევე პროექტული სწავლება, რაც მკაფიოდ ჩანს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩოში. ასევე მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები და განხორციელებული პროექტები, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეძლონ საკუთარი და



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, მხარეთმცოდნეობის ლაშქრობებში ისტორიულ ძეგლებზე, ბუნების წიაღში ხორციელდება აქტივობები „ბუნება როგორც რესურსი", რის მიხედვითაც მოსწავლეები ასრულებენ თავისუფალი სახის თხზულებებს. საშუალო საფეხურზე ასევე განხორციელდა ვიზიტი „ტექნოპარკში, „ბიზნეს ფორუმზე".

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა და გეგმავენ სოციო-ემოციური სწავლების საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დახვეწას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომსსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, უზრუნველყოს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საშუალო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით. ასევე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე ისინი იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მათ შემუშავებული აქვთ სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემებისთვის. მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, ურთიერთშეფასება და თვითშეფასება ემსახურება მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობას. სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებს კარგი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენების პრაქტიკაც სკოლაში აქვთ. პედაგოგები გეგმავენ, რომ დამატებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პედაგოგები ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ორიენტირებული არიან მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. კრიტერიუმები არის მკაფიო და გაზომავდი.
წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზის ფორმები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების შესწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული პრინციპების დაცვას ასევე უზრუნველყოფს ის ფაქტი, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსწავლეები თავადაც არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შემაჯამებელი სამუშაოს განხორციელების წინ ისინი მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც თავის მხრივ შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და სანდოობას უზრუნველყოფს.
შეფასების სისტემა, როგორც სწავლების მთავარი კომპონენტი მუდმივად იხვეწება და მუშავდება. აღნიშნული დასტურდება საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია, რომლის მიზანია უზრუნველყოს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია წინასწარგანსაზღვრული რისკფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები. ვერიფიკაციის პროცესი წარიმართება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვით. ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას შერჩევის მექანიზმის (რისკების სისტემა) შესაბამისად. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის. ვერიფიკაციის ინსტრუქციით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა, ასევე შეფასების შედეგებზე მოსწავლის ინფორმირება.

საშუალო საფეხურზე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად კი ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრებზე. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც იმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე ხორციელდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი. იმართება შიდასაკლასო გამოფენები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, რომლის საფუძველზეც ანალიზდება მოსწავლის მიღწევა და პროგრესი. წლის ბოლოს მოსწავლეები ფასდებიან წერილობითი შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც აფასებს მოსწავლეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლევლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. ამავდროულად, სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, **2.2.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას აწარმოებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეთა წლიური შეფასებები ფიქსირდება ასევე პირად საქმეებში, რომელთა შენახვასაც სკოლა უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების, მათ შორის შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას 3 წლის ვადით. აღნიშნული გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“. შეფასების მტკიცებულებები შესაძლოა ასევე იყოს დაკვირვების ფურცლები, „ჩეკლისტები“, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს მასწავლებელს შედეგების ანალიზისათვის. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებითაც.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად, **2.2.2.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
3. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია;
4. თვითშეფასების კითხვარი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მხარდამჭერი გარემოს შექმნას. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი, რასაც ხელს უწყობს პედაგოგებისა და დამრიგებლების საუბრები, სადამრიგებლო საათები. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება საგნებს შორის ინტეგრირებული პროექტები, სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები, მოსწავლეები ერთვებიან შემეცნებით-ინტელექტუალურ კონკურსებში, მართავენ ვიქტორინებს, რაც მოსწავლეებს რეალიზების საშუალებას აძლევს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ცდილობს უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებისა და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს, რაც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას ხელს უწყობს სკოლაში არსებული თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე, რაც გარკვეულწილად ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარებითა და ერთმანეთის დახმარებით გამოიხატება. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედკოლექტივსა და დირექციას შორის. თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა ხაზგასმულია სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაშიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, **2.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული სასწავლო თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. საგნობრივი პროგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შეესაბამება კონკრეტულ კლასს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, პედაგოგი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. ხდება იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება არა ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ ფუნქციური უნარებისა და საკვანძო იდეების სიღრმისეულ გააზრებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს.

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ხაზგასასმელად, სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ აქტივობებში, რაც მათ ინტერესებზეა მორგებული. აღნიშნული დასტურდება სკოლის სოციალურ ქსელზე წარმოდგენილი ფოტო-ვიდეო მასალითაც.

მასწავლებლებთან ინტერვიუებსა და წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **2.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. გამოცდილების გაზიარება ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. სკოლაში ხდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ასევე კარგად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს საკითხით დაინტერესებული თანამშრომლებისთვის. ისინი მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ კოლეგებს და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის წარმართვის დროს. სკოლაში აქვთ ასევე ინტეგრირებული გაკვეთილებისა და პროექტების ჩატარების გამოცდილება, რაც ხაზს უსამს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის არსებობას. სასწავლო პროცესის თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებას ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

რაც შეეხება მშობლებთან კომუნიკაციას, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან.



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



ასევე, პედაგოგები მშობლებს უგზავნიან კომპლექსური დავალების ბარათებს და ისმენენ მათგან უკუკავშირს. მოსწავლეებთან განიხილავენ აქტუალურ საკითხებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. გარდა ამისა, პედაგოგები მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტრდება, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **2.2.3.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მიზნად ისახავს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, მეგობრული, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო ატმოსფერო. უზრუნველყოს, ოპტიმალური პირობების შექმნა თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გამოსავლენად. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესის მიხედვით, სკოლა თავს ვალდებულად მიიჩნევს იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები. აგერთე შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან. სკოლაში დამკვიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობლებს შორის, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატს შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.
გარდა ამისა, იკვეთება, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან. კათედრებზე მასწავლებლები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, რჩევებისა და რეკომენდაციების სახით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მიმღებლობას. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის.
სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ამსახველი მასალებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში ხშირად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ასევე, აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური განათლების მიმართულებით. აქტიურია ასევე სკოლის თვითმმართველობა, რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და სხვადასხვა აქტივობებით. ჩანს თანამშრომლობითი კულტურა მშობლებთან, სხვადასხვა კლასებთან, სკოლებთან და ორგანიზაციებთან.
სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე ისიც, რომ საშუალო საფეხურზე ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ სასწავლო საკითხების შერჩევა ხორციელდება მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. გარდა

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით პედაგოგები იყენებენ მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის მეთოდებს.
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების თანახმად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომსსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. შესაბამისად, **2.2.3.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წესი;
6. კომპლექსური დავალების ბარათები;
7. განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნაშრომები, ფოტოები);
8. სკოლის თვითშეფასება;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება (ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად); სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელს დაეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რატომ იყვნენ /არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ - დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა. ამ ყველაფრის გათვალისწინება კი პედაგოგს საშუალებას მისცემს, მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესოს თემატური მატრიცა და უფრო ეფექტიანი გახადოს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესი.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრებზე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია გამოკითხვის ჩატარება კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მასწავლებლები გადიან სხვადასხვა ტრენინგ მოდულებს და ახორციელებენ ურთირთდახმარებას სასკოლო საჭიროების მიხედვით.
სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას საწყის ეტაპზე არჩეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. მასწავლებლები აპირებენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაონ კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებში.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. საშუალო საფეხურზე არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი და „ხარისხის მართვის ჯგუფი", რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები აგროვებენ და ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო გამოცდილებას და წარმატებულ პრაქტიკას. არსებული

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

გამოცდილების საფუძველზე ისინი საზღვრავენ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, მონაცენთა შეგროვების მეთოდებს, ვადებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს.
წარდმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს.
საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიურების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა და რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვლევა, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ოქმები;
3. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა;
4. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
6. პედაგოგებთან ინტერვიუები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება კომპლექსური დავალების შეფასება. საგნის მასწავლებლები ატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს და შესაბამისი ფორმის მეშვეობით განიხილავენ მოსწავლის აკადემიური მოსწრებას. აღნიშნული დასტურდება მაგალითად, რუსული ენის მასწავლებლის მიერ შემუშავებული, საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა დიაგნოსტირებისა და შედეგების ანალიზის ცხრილით. მოსწავლეების პროგრესზე დაკვირვების მიზნით, კათედრები ანალიზს უკეთებენ შემაჯამებელ დავალებებს, აღწერენ მოსწავლეთა შედეგებს და შეფასების სქემების გამოყენებით, გამოკვეთენ იმ საკითხებს, რომელთა დაძლევაც კლასს გაუჭირდა.

გარდა ამისა, სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

თვითშეფასების ფორმებსაც, რაც სწავლის პროცესის ერთგვარი უკუკავშირია. ასევე, შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. რემედიაციის საშუალებით ისინი მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც ნაკლებად ძალია მოსწავლეთა უმეტესობამ.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლა აქტიურად მუშაობს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების და ინსტრუმენტების შემუშავებისა და სრულყოფის მიმართულებით. შესაბამისად, **2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლის შეფასებისას პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნისთვის გამოიყენება შემაჯამებელი დავალების ანალიზი და დიაგნოსტიკური ტესტები.
შეფასება რომ ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები და პრეზენტაციები. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად, მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი წარიმართება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება მათ გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. სკოლაში სწავლობენ ქართველი, აზერბაიჯანელი და რუსი მოსწავლეები, რომელთა ძირითადი პრობლემაც ენობრივი ბარიერია. შესაბამისად, სასკოლო პროცესის შეფასებისას, სკოლა ითვალისწინებს ამ ფაქტორს.
გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ მოსწავლეებზე

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე და სხვა. შესაბამისად, მოსწავლის შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლის სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტიდან და პედაგოგთა გამოკითხვით დგინდება, რომ სკოლაში ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, რომლის მიზანია სკოლის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, მოლოდინებისა და პრიორიტეტების გამოვლენა. ასევე სწავლების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას იმისათვის, რომ უკეთესად წარიმართოს სასწავლო პროცესი. მონაცემთა შეგროვებისათვის სკოლა იყენებს კითხვარებს, დაკვირვებას, ტესტირებას, გამოკითხვას, ფოკუს ჯგუფს, ინტერვიუს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასებას, გასასვლელს ბილეთს და ა.შ. რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. სკოლა იკვლევს იმ ფაქტორებს, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებაზე ახდენს გავლენას. მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მეორე უცხო ენის მასწავლებელს ჩატარებული აქვს

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

მშობელთა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა წერასა და სამეტყველო უნარებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევსა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძებნას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლის ინტეგრირება საკუთარ თემთან, რამდენადაც მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლა ითვალისწინებს დროსა და სივრცეს და აღნიშნულის გათვალისწინებით ქმნის აქტივობებს სკოლის ბაზაზე არსებულ კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორებში, სასპორტო დარბაზში და სკოლის ეზოში.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. შედეგების ცხრილის ფორმა (დიაგნოსტირება-რუსული);
6. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
7. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
8. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
9. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე წინა წლის კურიკულუმის რევიზია და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სწორედ ამ პროცესის შედეგად გამოიკვეთება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი“.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის პარალელურად ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება, მათ შორის თუ რა პროცესები უწყობს ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორია მშობლებთან კომუნიკაცია. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს კი, როდესაც კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის

განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რეკომენდაციები თავის მხრივ უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის დანერგვის, პროცესის მონიტორინგსა და შეფასების გამოცდილება და ამავდროულად გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, **2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შექმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები, ასევე მიგნებები, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა.
მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ 2023-2024 წლის კურიკულუმების შექმნის დროს გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მომავალშიც გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. მომდევნო წლისათვის დამატებით იქნება შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი, რაც ასევე უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ასახავდეს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგებს და შესაბამის ცვილებებს.
შესაბამისად, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ **2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
4. სკოლის თვითშეფასების კითხვარი
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

27.10.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა :

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: